პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 4 სექტემბერი, 1949 წ. № 176 (8479). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საუკეთესოდ მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ორგანიზაციული მუშაობა წყვეტს საქმის წარმატებას — „პრავდის“ 3-IX მოწინავე (მე-2 გვერდი).
მ. ლელაშვილი — თბილისის რაიონული საბჭოების ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პატარა ფელეტონი — ბაიგეგს, როგორ არ ბაიგებს (მე-3 გვერდი).
ა. კელენჯერიძე — კვლავ ხაროს ვაზი აჭარაში! (მე-3 გვერდი).
მ. აფონინი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საუკეთესოდ მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის

ჯოლმეურნე გლეხობა მუყაითად მუშაობს, რომ წარმატებით დაამთავროს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს მომავალი წლის უხვ მოსავალს. საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმის აგროტექნიკურ ვადებში შესრულება მნიშვნელოვანი პირობაა 1950 წელს მოსავლიანობის გასაოცარ ამაღლებლად. ჩვენი რესპუბლიკის ჯოლმეურნეობები შეუდგნენ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას. სექტემბრის ბოლოს თესვა მასობრივად გაჩაღდება. ჯოლმეურნეობის, სოფლის ყველა მუშაკის ამოცანაა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხვნა-თესვას.

თესვისათვის მზადყოფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სათესლე მასალის დროულად გამოყოფა, გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. გეგმით გათვალისწინებული 393.000 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილია 249.697 ცენტნერი თესლი. წელს მთელი საჯოლმეურნეო ფართობები ჯიშიანი თესლით უნდა დაითესოს. საჭიროა ჯოლმეურნეობებმა დროულად იზრუნონ თესლის გადასაცვლელად, რათა წარმატებით შესრულდეს ჯიშიანი თესლით თესვის გეგმა.

თესვისათვის ნიადაგის საუკეთესოდ მომზადება დიდ მუშაობას მოითხოვს. ალაზნის, წითელწყაროს, წნორის მტს-ები სწრაფი ტემპით ხნავენ ნიადაგს საშემოდგომო ხორბლის დასათესად. მაგრამ ყველგან ასე არ არის. ხვნას აჭიანურებენ სტალინირის, ქსუისის, იორის და კაჩრეთის მტს-ები.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე მთელი სერიოზულობით დააყენეს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ამოცანა. კულტურული ხვნა შეუძლებელია წინმახვნელიანი გუთნების გარეშე. როგორც ყოველი სახის ხვნა, ისე საშემოდგომო ხვნაც სავალდებულოა წინმახვნელიანი გუთნებით. დიდი რუსი მეცნიერის ვ. რ. ვილიამსის მიერ შემუშავებული მოძღვრება ნიადაგის წინმახვნელიანი გუთნით დამუშავების სისტემის შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამ წესის მტკიცედ დაცვას მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცინონ. სამწუხაროდ, ცალკეულ მტს-ებში ამ ღონისძიების აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. მაგალითად, კაჩაგანის მტს-ში ტრაქტორისტების მეტი ნაწილი ნიადაგს ხნავს უწინმახვნელო გუთნებით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან სათანადო ზომები მიიღონ აგროტექნიკური ღონისძიებების ასეთ დარღვევათა აღსაკვეთად.

საშემოდგომო ხვნა-თესვის ფრონტზე მეტად პასუხსაგები დავალება აქვთ მტს-ების მუშაკებს. ბევრგან ეს კარგად აქვთ შეგნებული. მტს-ებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის სატრაქტორო ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად. გორის მტს-ის დ. ბატონისაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ საშემოდგომოდ უკვე მოხნა 200 ჰექტარამდე, ყვარელი ტრაქტორისტები შ. დათუაშვილი, ზ. ყამუტაშვილი, სიღნაღელი გ. ყაჯრიშვილი ხვნის დღიურ ნორმას ერთიორად ასრულებენ. მტს-ების პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა იზრუნონ მოწინავე სატრაქტორო ბრიგადების, ტრაქტორისტების გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის.

საჭიროა უზრუნველყოთ ტრაქტორების სადღეღამისო მუშაობა, დავაჩქაროთ სათესი მანქანების, გუთნების რემონტი. წელს მწკრივად უნდა დაითესოს საშემოდგომო ხორბლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მოსავლიანობის გადიდების დიდი ღონისძიებაა.

ნიადაგის დამუშავება ჩვენში ხდება არა მარტო ტრაქტორებით. ამიტომ საჭიროა ხვნისათვის მოვამზადოთ მუშა-პირუტყვი, საჯოლმეურნეო ინვენტარი. აქვე უნდა ითქვას, რომ საჯოლმეურნეო ინვენტარის შეკეთების ახლანდელი ტემპი საკმაო არ არის. ამ დღეებში საჯოლმეურნეო სამჭედლოები მთელი დაძაბულობით უნდა მუშაობდნენ. საჭიროა სამჭედლოები შეუფერხებლივ მოვამარაგოთ ნახშირით, ხე-ტყისა და სხვა მასალით.

ჩვენი ჯოლმეურნეობები საუკეთესოდ იყენებენ ნათესბალახიან თესლბრუნვას. ისინი პრაქტიკულად დარწმუნდნენ იმაში, რომ თესლბრუნვა მოსავლიანობის გადიდების საფუძველია. სოფლის ყველა მუშაკის მოვალეობაა ყურადღება მიაპყროს იმას, რომ საშემოდგომო კულტურები დაითესოს თესლბრუნვით განლაგებულ მინაკვრებში. კულტურათა მორიგეობის წესის დაცვაში აგრონომიულმა პერსონალმა დახმარება უნდა გაუწიოს ჯოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საშემოდგომო ხვნა-თესვა ემოხვევა სოფლის სხვა გადაუდებელ სამუშაოებს, როგორიცაა მარცვლეულის ლეწვა, პურის დამზადება, ჩაის ფოთლის კრეფა, მზრალად ხვნა, მზადება ციტრუსების კრეფისათვის და პირუტყვის გამოზამთრებისათვის. მაშასადამე, ამ პერიოდში შრომის სწორად მოწყობას, ადამიანების უნარიანად განაწილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პარტიულ და სამეურნეო სამუშაოთა სწორად შეთავსება, ჯოლმეურნეობებისადმი ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა გადაწყვეტს წარმატებას ხვნა - თესვის ფრონტზე.

ყველაზე ძვირფას კულტურას — საშემოდგომო ხორბალს დიდი ხვედრითი წონა აქვს მარცვლეულის მეურნეობაში. საკმარისია ითქვას, რომ ამ შემოდგომაზე ხორბლეული თითქმის რვაჯერ მეტი დაითესება, ვიდრე გაზაფხულზე დაითესა.

სოფლად ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებმა უხვი მოსავლის ოსტატთათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ სოფლის მშრომელები აღაფრთოვანეს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ულიანოვკის მტს-ის კოლექტივმა განიხილა საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი, ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა საშემოდგომო კულტურები დაითესოს 6.300 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.500 ჰექტარისა, ნიადაგი მოხნას 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე წინმახვნელიანი გუთნების სრული გამოყენებით, ტრაქტორებზე მოაწყოს განათება, უზრუნველყოს მათი სადღეღამისო მუშაობა, თესვის დაწყების 10-15 დღით ადრე დაამთავროს სათესი მანქანების რემონტი, დათესოს მხოლოდ და მხოლოდ ჯიშიანი თესლი, დაზოგოს 15 ტონა საწვავ-საცხები მასალა. ულიანოვკელები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს წნორის, ალაზნის, შირაქისა და კაჩრეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები.

უეჭველია, ულიანოვკელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭერენ მხარს საქართველოს ყველა მტს-ში, უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად ჩაატარებენ საშემოდგომო თესვას.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ მოლდავეთის სსრ ჯოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა 31 აგვისტოს ვადამდე 102 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მთლიანად შესრულებულია ხორბლისა და ჭვავის ჩაბარების გეგმები.

რესპუბლიკის ჯოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ სიმინდის დამზადების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფოს პურის დამზადების საერთო გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სულ ცოტა 3 მილიონი ფუთი პური.

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კოვალი
მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. რუდი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში ა. სიჩი
მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ფ. კოვალი

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

გამარჯვებული მეშახტეები

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ცნობილმა საპატიო მეშახტემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვასილ ყიტნიკოვმა, რომელიც ტყვარჩელის ბერიას სახელობის შახტში ლავის გამყვანად მუშაობს, სამნახევარ წელიწადში 10 წლის ნორმა შეასრულა და ახლა 1956 წლის ანგარიშში მუშაობს. ვ. ყიტნიკოვმა იკისრა წლის ბოლომდე კიდევ გამოიმუშაოს ერთი წლის ნორმა.

ამავე შახტის საყელავი მანქანის მემანქანეებმა ე. ტყეებუჩავამ და ი. ოსტახინმა 6 წლის ნორმა გამოიმუშავეს. ამათ გარდა 49 მაღაროელმა მეშახტის დღისათვის შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

ციგრუსების შემუშავი ქარხანა საბჭოთა მეურნეობაში

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 986 ჰექტარზე აქვს ჩაის პლანტაცია. ასევე დიდ ფართობზე აქვს მას გაშენებული ციტრუსების პლანტაცია, რომლადანაც ყოველწლიურად სახელმწიფოს მილიონობით ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს აბარებს.

წელს აქ აშენებენ ციტრუსების შემფუთავ ქარხანას, რომელიც სეზონში 8-10 მილიონ ცალ ნაყოფს გადაამუშავებს.

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს ქარხნის მშენებლობა, რაც 148.000 მანეთი დაჯდება.

დამთავრდა ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა

ლენინგორი. (საკ. კორ.). სოფელ ქურთაში დამთავრდა ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა.

ამჟამად ელექტროხაზები გაჰყავთ კორინთის, ქვემო ალევის, წირქოლისა და ქურთის კოლმეურნეობებში. ეს სოფლები ჩქარა მიიღებენ ძვირფას საჩუქარს — ილიჩის ნათურებს.

არჯელი „იალბუზი“

ძლუხორი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს დადგენილებით ქლუხორში ჩამოყალიბდა არტელი „იალბუზი“.

არტელმა „იალბუზმა“ უკვე მოაწყო საზეინკლო საამქრო. ამ დღეებში მუშაობას დაიწყებენ ლუდის, ძეხვის, საკონდიტრო და სამკერვალო საამქროები.

მეავტომობილეთა კინოთეატრი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხანაში დამთავრდა კინოთეატრის მშენებლობა.

ახალი კინოთეატრი, რომელიც რამდენიმე ათეულ მაყურებელს დაიტევს, კარგი საჩუქარია ჟუთაისელი მეავტომობილეებისათვის.

ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ამხ. პაპკორია და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბაძაღუა იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ღესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ღესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 100 პროცენტით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით ღესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ბერაია და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. სიჭინავა იტყობინებიან, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 სექტემბრისათვის 116 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა.

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 სექტემბრისათვის 103,6 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 30 აგვისტოსათვის 105 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების 1949 წლის გეგმა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 31 აგვისტოს სხდომაზე განიხილა საკითხი — „მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მიმართვა თბილისის რაიონული საბჭოებისადმი საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ“.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიღებული გადაწყვეტილებით მოიწონა ლენინის რაიონული საბჭოს მიმართვა. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა წინადადება მისცა ქ. თბილისის სტალინის, მოლოტოვის, ბერიას, კიროვის, ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონულ საბჭოებს: დაავალონ რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოების ხელმძღვანელებს საბჭოების სათანადო მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად დეპუტატებისა და აქტივის მონაწილეობით განიხილონ აღნიშნული მიმართვა, შეიმუშაონ კონკრეტული ვალდებულებანი რაიონის კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის 1949 წლის გეგმების შესაბამისად და განიხილონ და მიიღონ რაიონული საბჭოების სესიებზე.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავის განყოფილებების, ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს დაავალა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ რაიონულ საბჭოებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და შედეგების შესამოწმებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო ჟიური შემდეგი შემადგენლობით: მ. ლელაშვილი (თავმჯდომარე), ე. ჩერქეზია, ა. ჩიტაიშვილი, ბ. კიზირია, გ. ბეჟანიშვილი, შ. ბაქრაძე, ვ. ეპიტაშვილი, პ. შუშანია, კ. თოფურია, ე. ხომერიკი, ლ. დიასამიძე, ა. მელაძე, ი. თუმანოვი, ა. კამლაძე, ა. თევზაძე და გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ წარმომადგენლები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონული საბჭოს დასაჯილდოებლად დააწესა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

წყალსადენი ღანჩხუთში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში არ არის საკმაო რაოდენობის სასმელი წყალი. ამიტომ აქ დაიწყეს წყალსადენის მშენებლობა. წყალი გამოყავთ კინტიკარადან 3 კილომეტრის მანძილზე.

წყალსადენის მშენებლობა უახლოეს ხანში დამთავრდება. რაიონის ცენტრში არსებული დაწესებულებები, საწარმოები და მოსახლეობა საკმაო რაოდენობით მიიღებენ სასმელ და სამეურნეო წყალს.

ღვარსაშვების მშენებლობა

სიღნაღი. (საკ. კორ.). ქალაქ სიღნაღში დაიწყო ღვარსაშვების მშენებლობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია დაიხარჯოს 600.000 მანეთი. დასასრულს უახლოვდება ბეტონის სამუშაოები.

სიღნაღის ღვარსაშვები მთლიანად უზრუნველყოფს ქალაქის ცენტრის ნაგებობათა დაცვას მოსალოდნელი ნიაღვრის დროს.

მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი

თელავი. (საკ. კორ.). თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექციამ (დირექტორი გ. ცხადაძე) ქალაქის ცენტრში დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

სახლი ოთხსართულიანი იქნება, 100 ოთახით. სახლი განკუთვნილია საცხოვრებელი ბინებისათვის.

სახლის მშენებლობა, რომელზეც 2.956 ათასი მანეთი დაიხარჯება, 1950 წლის ბოლოს დამთავრდება.

გაიხსნა რენტგენოლოგიური კაბინეტი

თიანეთი. (სპეც. კორ.). რაიუსავადმყოფოს პოლიკლინიკასთან წელს პირველად გაიხსნა რენტგენოლოგიური კაბინეტი.

კაბინეტი, რომელსაც დათმობილი აქვს ახლად გარემონტებული ფართო და სუფთა ოთახი, უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ხელსაწყოებითა და ინვენტარით.

კაბინეტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით და კარგად ემსახურება რაიონის მოსახლეობას.

ხირსის კეთილმოწყობა

ხირსა. (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ლ. ბერიას სახელობის მევენახეობის ხირსის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი დ. შარაშიძე). წელს მეურნეობაში აშენდა მუშათა 27-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ამჟამად კიდევ შენდება ერთი საცხოვრებელი თერმომეტბინიანი სახლი, სასადილო და მუშათა კოოპერაციული მაღაზია. კეთილმოწყობილი გახდა მუშათა კლუბი, რომლის რეკონსტრუქცია ახლახან დამთავრდა.

კლუბთან შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ დრამატული წრე და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

აქვე აიგო რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს 150-მდე რადიოწერტილს.

სოციალისტური შრომის გმირები



ს. ა. ნებიერიძე
ზესტაფონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა 3,3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 84,4 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ნ. ბ. ბურჯანაძე
მაიაკოვსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 102,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ს. ბ. მაისურაძე
ორჯონიკიძის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 77,6 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ს. გ. ბურკაძე
მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის

ორგანიზაციული მუშაობა წყვეტს საქმის წარმატებას

მიზნის ერთიანობა, მოქმედების ერთიანობა, დისციპლინის ერთიანობა უდევს საფუძვლად კომუნისტური პარტიის მთელ საქმიანობას. პარტიის დიდი ბელადები და ფუძემდებლები ლენინი და სტალინი ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ პარტიის ორგანიზაციულ მუშაობას. „მას შემდეგ, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, ორგანიზაციული მუშაობა წყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც...“

ჩვენი პარტიის ორგანიზატორულ საქმიანობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, როცა ეგრეთწოდებული ობიექტური პირობების როლი მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო ჩვენი ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების როლი გადამწყვეტი, განსაკუთრებული გახდა. ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ძალა და ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. მათს ორგანიზებულობაზე, მათს უნარზე — ჩაბან ამა თუ იმ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასები — ახლა დამოკიდებულია ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის ყოველ გადაწყვეტილებას, ყოველ მის მითითებას და მზად არიან შეასრულონ ისინი. ასრულებენ რა იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა აყენებენ, ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები ეყრდნობიან მშრომელთა განსაკუთრებულ აქტივობას, მუშათა, კოლმეურნეთა, საბჭოთა ინტელიგენციის მზადყოფნას — მხარი დაუჭირონ პარტიის ყოველ ღონისძიებას.

აი ორი დამახასიათებელი მაგალითი.

ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ შექანიკურ-საამქროს საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ამოცანა — მიეღწია, რომ საამქროში ყველა მუშა ასრულებდეს ახალ ტექნიკურ ნორმებს. საამქროს კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარტორგანიზაციის თაოსნობას. მაგრამ დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, ტექნოლოგიის სრულყოფა, ჩამორჩენილი მუშებისათვის დახმარების გაწევა მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებაში. საამქროს ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს და მიაღწიეს იმას, რომ საამქროში ახლა არ არის არც ერთი მუშა, რომელიც ნორმებს არ ასრულებდეს. ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ინიციატივა ფართოდ გავრცელდა უკრაინის მრავალ და მრავალ საწარმოში.

სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეთა ინიციატივასა და წინადადებებზე დაყრდნობით, მიიღეს გადაწყვეტილება პურის დამზადებათა გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო იყო მთელი მუშაობის უნარიანი ორგანიზაცია. პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას. მათ სწორად გაანაწილეს თავიანთი ძალები, ათასობით კომუნისტი გაგზავნეს მოსავლის აღებისა და პურის დამზადების გადამწყვეტ უბნებზე — მემინდვრეობის, ლეწვისა და სატრანსპორტო ბრიგადებში. ათასობით აგიტატორი ყოველდღიურად გაუმარტავდა კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს პურის დამზადების პოლიტიკურ და სანალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, რაზმავდა მასებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას და მიაღწიეს პურის დამზადებათა სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებას.

ხოლო რა შეიძლება ითქვას იმ ხელმძღვანელებზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საკმარისია მიიღო ამა თუ იმ საკითხზე სწორი გადაწყვეტილება, ყველას გასაგონად გამოაცხადო იგი, და წარმატება თავისთავად, თვითდინებით მოვა? ასეთ ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ სწორი გადაწყვეტილება საქმის მხოლოდ დასაწყისია, რომ წარმატება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებისათვის ბრძოლის მოწყობაზე, ადამიანთა სწორ შერჩევაზე, შესრულების შემოწმებაზე. ნაცვლად ცოცხალი და კონკრეტული ხელმძღვანელობისა ასეთი ხელმძღვანელები მთელ საქმეს დირექტივებისა და რეზოლუციების შედგენით განსაზღვრავენ. ისინი ხალისით იღებენ ყოველგვარ ვალდებულებას, ყოველგვარ გადაწყვეტილებას. მათთვის სულ იოლი საქმეა მაღალფარდოვანი განცხადებებით გამოსვლა. შემოწმებით კი ირკვევა, რომ ბევრი მათი გადაწყვეტილება და განცხადება ჰაერში გამოკიდებული რჩება, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს არ მოსდევს ცოცხალი ბოლშევიკური საქმე, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

მაგალითად, პარტიის კურსკის საოლქო კომიტეტმა მოსავლის აღებისა და პურის დამზადების შესახებ მიიღო საკმაოდ ბევრი გადაწყვეტილება, რომლებიც შეიცავდნენ პასუხსაგებ ვალდებულებას: სანიმუშოდ ჩაეტარებინა მოსავლის აღება და ვადამდე შეესრულებინა პურის დამზადებათა გეგმა. მაგრამ, ეს გადაწყვეტილებები რომ მიიღო, საოლქო კომიტეტმა ისინი საჭირო ორგანიზატორული მუშაობით არ განამტკიცა. მოსავლის აღება და პურის დამზადება ოლქის ბევრ კოლმეურნეობაში ნელა მიმდინარეობს. ნაცვლად იმისა, რომ ოპერატიულად დაეხმაროს კოლმეურნეობებს — აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ორგანიზაციაში, საოლქო კომიტეტი განაგრძობს სულ ახალ და ახალ გადაწყვეტილებათა მიღებას, წინანდელ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის კი არ ზრუნავს. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში ანალოგიური ნაკლოვანებებია ნოვოსიბირსკის ოლქსა და თათრეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც პარტიული ხელმძღვანელები ცდილობენ ქაღალდის ნიაღვრით აანაზღაურონ თავიანთი არასაკმაო ორგანიზებულობა და ოპერატიულობა მუშაობაში.

ესა თუ ის გადაწყვეტილება რომ შეასრულო, უნდა გააცნო იგი შემსრულებლებს, მიუთითო გზა დასახული მიზნისაკენ, მოახდინო საჭირო ძალების მობილიზაცია, გაითვალისწინო და თავიდან აიცილო შესაძლო გარღვევები, დროზე დაეხმარო ჩამორჩენილთ.

ბოლშევიკური ორგანიზებულობა გულისხმობს პარტიულ - პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებას, ყველა ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციის საქმიანობის უნარიან ხელმძღვანელობას. ყოველი გადაწყვეტილება, ყოველი მოწოდება შეიძლება ლტონ სიტყვად გადაიქცეს, თუ უზრუნველყოფილ არ იქნა ჩვენი ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობა, თუ მათს მუშაობაში დაცულ არ იქნა საჭირო დაძაბულობა, თუ შემარიგებელი დამოკიდებულება გამოვიჩინეთ პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომითი დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი, თუ, დასასრულ, ჯეროვნად არ იქნა დაყენებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

მხოლოდ შესრულების შემოწმებამ შეიძლება ცხადყოს, თუ როგორ სრულდება ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი, პატიოსნად, ბოლშევიკურად მუშაობს აპარატი, თუ ფუჭად ტრიალებს. ზოგიერთ მუშაკს მიაჩნია, რომ დირექტივების შედგენა ხელმძღვანელის შესაფერი საქმეა, ხოლო მათი შესრულების შემოწმება — მეორეხარისხოვან და მესამეხარისხოვან პირთა მოვალეობაა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი შეხედულებანი ეწინააღმდეგებიან სწორი ხელმძღვანელობის ძირითად მოთხოვნებს.

„... შესრულების შემოწმებამ რომ მიზანს მიაღწიოს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირობა: პირველი, — რათა შესრულების შემოწმება იყოს სისტემატური და არა ეპიზოდური; მეორე, — რათა შესრულების შემოწმების საქმის სათავეში პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყველა რგოლში იდგნენ არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ საკმარისად ავტორიტეტული ადამიანები, — თვით ორგანიზაციის ხელმძღვანელები.“.

საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ. სათავეში უდგანან რა მშრომელთა უფართოეს მასებს მათს ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები უდიდეს და მრავალმხრივ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან. მაგრამ მოთხოვნები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისადმი განუწყვეტლივ დიდდება, ისახება სულ ახალი და ახალი ამოცანები. ახალი ამოცანების დონეზე ყოფნა ნიშნავს კვლავაც შევუფარდოთ ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს, ავამაღლოთ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე, მივაღწიოთ იმას, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სავსებით უზრუნველყოფდეს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ეს არის კომუნიზმის მშენებლობის დიდი საქმის ახალ გამარჯვებათა საწინდარი!

„პრავდის“ 8/IX მოწინავე

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

ზამთრისათვის მზადყოფნის შემოწმება

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მომავალი ზამთრისათვის სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი შენობებისა და კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მზადყოფნის მასობრივი საზოგადოებრივი შემოწმების შესახებ. შემოწმება უნდა მოეწყოს სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში.

ამასთან დაკავშირებით პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაავალა:

ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მოიწვიონ მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო კრებები, ამ კრებებზე განიხილონ საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებები ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეების თანამოხსენებანი ზამთრისათვის მზადების საზოგადოებრივი შემოწმების მნიშვნელობისა და გეგმის შესახებ; საზოგადოებრივ-მასობრივ შემოწმებაში ჩაბან ადგილობრივ პროფორგანიზაციებთან არსებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო კომისიები და პროფკავშირული აქტივი; მთელი ეს მუშაობა დაამთავრონ ნოემბრის დამდეგამდე.

საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებს მიცემული აქვთ წინადადება ყოველდღიურად ადევნონ თვალყური ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობას, განსაკუთრებით სანინაო მშენებლობას, შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოებს და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ძირეულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება ზამთრისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად, ფართოდ გამოიყენონ ძირეული პრესა შეჯიბრების მიმდინარეობის გასაშუქებლად და სისტემატურად განიხილონ თავიანთ სხდომებზე მზადების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

ზამთრისათვის მზადების შემოწმების შედეგებს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შუა ნოემბერში განიხილავს.

სპორტული შეჯიბრებანი რესპუბლიკის პროფკავშირული პირველობისათვის

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს პროფკავშირებში სასპორტო მუშაობის შემდგომი გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მიზნით მოაწყოს სპორტული შეჯიბრებანი რესპუბლიკის პროფკავშირული პირველობისათვის.

სექტემბერში ჩატარდება პირადი და საგუნდო პირველობისათვის შეჯიბრება მძლეოსნობაში. ოქტომბერში მოეწყობა პროფკავშირულ გუნდებს შორის პირველობისათვის შეჯიბრება ფეხბურთში, ხოლო დეკემბერში გადაწყვეტილია პირადი და საგუნდო პირველობისათვის შეჯიბრება ტანვარჯიშში.

სპორტულ შეჯიბრებათა ხელმძღვანელობა დავალებული აქვს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ახლახან ჩამოყალიბებულ ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოს, რომელსაც ამხ. ა. გიორგაძე თავმჯდომარეობს.

პარტიული ცხოვრება

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიუროს ჯერ კიდევ ივლისში განიხილა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიებანი. 13 აგვისტოს ჩატარდა რაიონული პარტიული აქტივის კრება, რომელიც ამავე საკითხს მიეძღვნა. დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გაიშალა მუშაობა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებისათვის სოფლის პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად გაიგზავნენ პარტიული აქტივი, რაიკომის მუშაკები. მათ ადგილზე შეისწავლეს პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობა, ესაუბრნენ კომუნისტებს და გამოარკვიეს რომელი ამხანაგი პარტიული განათლების რომელ ფორმაში ჩაებმება. ამჟამად უკვე გვაქვს ზუსტი მასალები, თუ კომუნისტთა საერთო რაოდენობიდან რამდენი კაცი ისწავლის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეებში, რამდენი განაგრძობს მეცადინეობას არსებულ წრეებში, რამდენი გაერთიანდება პოლიტსკოლებში, ვინ იმუშავებს დამოუკიდებლად საკუთარი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის. სულ რაიონში შეიქმნება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი 10 ახალი წრე 134 მსმენელით, მუშაობას გააგრძელებს 18 წრე 292 მსმენელით, შეიქმნება 32 პოლიტსკოლა 435 მსმენელით და ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 8 წრე. მაშასადამე, მიმდინარე სასწავლო წელს რაიონში სულ 68 წრე და პოლიტსკოლა იმუშავებს. წიგნზე დამოუკიდებლად იმუშავებს 450-მდე კომუნისტი.

წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის წარმატება ძირითადად პროპაგანდისტის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. შეიქმნა პროპაგანდისტთა კადრი. პროპაგანდისტებთან ჩავატარეთ თათბირი, მივეცით მეთოდური ხასიათის მითითებანი, გავაცანით ახალი სასწავლო წლის ამოცანები.

შექმნილია და მუშაობს პროპაგანდისტთა სემინარი სამ ჯგუფად. სულ სემინარებში 75 პროპაგანდისტი მეცადინეობს. აღსანიშნავია, რომ 7 პროპაგანდისტი შერჩეულია რეზერვისათვის. ისინი საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნებიან პროპაგანდისტებად.

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის დახმარების გასაწევად გამოყოფილია 38 კონსულტანტი. თვითეულ კონსულტანტზე ძიმაგრებულია კომუნისტთა ჯგუფი 5-7 კაცის შემადგენლობით. კონსულტანტებთან ჩატარებულ იქნა საინსტრუქციო თათბირი.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

კარგად იმუშავა ძაფსაღები ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი დ. გვარამაძე). 104 კომუნისტიდან, რომლებიც ამ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული, 45 ისწავლის ორ პოლიტსკოლაში; „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეში, რომელმაც მერვე თავზე შეწყვიტა მეცადინეობა, გააგრძელებს მუშაობას 18 ამხანაგი; 11 მცირემცოდნე კომუნისტი ჩაბმულ იქნება საერთო განათლების სკოლაში; დამოუკიდებლად ისწავლის 7 ამხანაგი. პოლიტსკოლებისა და წრისათვის პარტბიურომ გამოჰყო სამეცადინო ოთახები, მიღებულია ზომები სასწავლო მასალების მოსამარაგებლად.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ პარტიულმა ორგანიზაციამ და აკურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანიზაციამ იმ კომუნისტებისათვის, რომლებმაც გასულ სასწავლო წელს წარმატებით დაამთავრეს პოლიტსკოლა, შექმნეს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულ იქნება 10 კომუნისტი და 4 კომკავშირელი. კარგად ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციაც.

სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დროს გამოვიყენებთ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც პარტორგანიზაციებს ამჟამად აქვთ მუშაობაში. ეს ნაკლოვანებები უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობაა ჩატარებული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების დასაკომპლექტებლად, დამთავრებული არ არის კომკავშირელთა პოლიტიკური განათლების ქსელის ორგანიზაცია.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

რ. გოგეჯიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

პროპაგანდისტთა სემინარი მუშაობას შეუდგა

ახალციხე. (საკ. კორ.). პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით პარტიის ახალციხის რაიკომმა განაახლა პროპაგანდისტთა მუდმივ მოქმედი სემინარის მუშაობა.

29 აგვისტოს ჩატარდა პროპაგანდისტთა სემინარის პირველი მეცადინეობა. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის ლექცია წაიკითხა პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ბ. აბელდიანმა, პოლიტსკოლების პროპაგანდისტებისათვის — რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. შ. დარახველიძემ.

ჩატარდა ქალაქისა და სოფლის პროპაგანდისტთა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი; თათბირზე ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ ილაპარაკა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ძებისაშვილმა.

თბილისის რაიონული საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე

თბილისის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, თბილისის სანიმუშო და კეთილმოწყობილ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უსაძაზეს ქალაქად გადაქცევისათვის.

თბილისი დამშვენდა შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობებით, საცხოვრებელი ბინებით, პარკებით, ხეივნებით, სტალინის სახელობის უსამაზესი სანაპიროთი და სხვ. დღითიდღე ფართოვდება მუშაობის ფრონტი თბილისის კეთილმოწყობის, ახალი მშენებლობის გაშლის დარგში. დედაქალაქის ბოლშევიკებს მტკიცედ ახსოვთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლ. ბერიას სიტყვები: „საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობა დიდი და რთული საქმეა და იგი მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა გვქონდეს“.

ახალი სტალინური ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების შედეგად თბილისის საქალაქო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა ომამდელ დონეს მიაღწიეს, ხოლო ზოგიერთმა დარგმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა მას. ამჟამად თბილისი 50 პროცენტით მეტ წყალს და ერთიორად მეტ ელექტროენერგიას იღებს, ვიდრე 1940 წელს.

წარმატებით შესრულდა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმები. მაგალითად, წყალსადენის ქსელის გაფართოების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 163,5 პროცენტით, კანალიზაციის ქსელის გაფართოებისა — 193,5 პროცენტით, თელასის მეურნეობის მშენებლობისა — 114 პროცენტით, საბინაო მშენებლობისა — 116,4 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ და თბილისის ბოლშევიკების XIX პარტკონფერენციამ ჩვენს წინაშე ახალი საბრძოლო ამოცანები დასახეს. გაჩაღებულია მუშაობა ამ ამოცანათა შესრულებისათვის. გათვალისწინებულია წელს დაიხარჯოს კომუნალურ მშენებლობაზე 45.030,0 ათასი მანეთი, ახალ საბინაო მშენებლობაზე—5.890,0 ათასი მანეთი, ახალი სკოლების მშენებლობაზე — 1.653,0 ათასი და საავადმყოფოების მშენებლობაზე — 560,0 ათასი მანეთი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო სასკოლო შენობების, კურორტების, საბინაო ფონდის, საავადმყოფოების, საოლქო მეურნეო ბაზრების და სხვა ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობის გაგრძელებლად და ნაწილობრივ დასამთავრებლად ნავარაუდევია დაიხარჯოს 4.600,0 ათასი მანეთი. დიდი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის წყლით უზრუნველსაყოფად. უახლოეს 2-3 წელიწადში ქალაქის წყლით მომარაგება გაორკეცდება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საკანალიზაციო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ღვარსაშვებთა (ბრძოლის, საბურთალოს ქუჩები) მშენებლობა, კოლექტორების რემონტი და სხვ.

სადაც კი გაიხედავ, ყველგან დაძაბული მუშაობაა თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ საქმისათვის მშრომელებს რაზმავენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, საქალაქო საბჭო, რაიონული საბჭოები, მათი აქტივი.

ახალი, საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინა თბილისის ლენინის რაიონულმა საბჭომ. მისი მიმართვა, რაც ამ დღეებში გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, ასახავს იმ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც ლენინის რაიონში უზრუნველყოფს 1949 წლის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებას. ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე ღირსშესანიშნავი სოციალისტურ შეჯიბრებაში ახლანდელ ეტაპზე ის არის, რომ იგი სულ უფრო და უფრო მასობრივი ხდება.

ლენინის რაიონულმა საბჭომ, მისმა დეპუტატებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს და ამავე მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს დედაქალაქის დანარჩენი რაიონული საბჭოები. თბილისის საქალაქო საბჭომ მოიწონა ეს პატრიოტული ინიციატივა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონული საბჭოსათვის დააწესა გარდამავალი დროშა, გამოყოფილია ჟიური.

საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამოცანა ახლა ის არის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბათ ყველა დეპუტატი, მუდმივი კომისია, აქტივი, თვითეულ მშრომელს გავაცნოთ ნაკისრი ვალდებულებანი.

ვალდებულებათა აღება საქმის მხოლოდ დასაწყისია. საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, უნდა უზრუნველყონ სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა თვითეული მუხლის პირნათლად შესრულება.

უხელმძღვანელო სოციალისტურ შეჯიბრებას — ეს ნიშნავს წაახალისო მოწინავენი, წამოსწიო ჩამორჩენილნი, მოახდინო მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება. მშრომელები ყოველ ნაბიჯზე აკვირდებიან ადგილობრივი საბჭოების მუშაობას. მათში მოწონებასა და აღფრთოვანებას იწვევს საბჭოს მიერ გატარებული ყოველი ღონისძიება, რაც მიმართულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატის პრაქტიკულ საქმიანობას, მის ინიციატივას. კარგად მოიქცა ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომი, როცა მოწინავე დეპუტატ შ. ხიზანაშვილის მუშაობა შეისწავლა და სხვა დეპუტატებს გააცნო.

დეპუტატი შ. ხიზანაშვილი თბილისის საორთქლმავლო დეპოს საამქროს უფროსია. იგი პირველ რიგში მაგალითს უჩვენებს თავის ამომრჩევლებს წარმოებაში თავდადებული მუშაობით. მისი ხელმძღვანელობით საამქრო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ამიერკავკასიის რკინიგზის მასშტაბით საამქრო მოწინავეთა რიგებშია. დეპუტატ შ. ხიზანაშვილს მჭიდრო კავშირი აქვს ამომრჩევლებთან.

წინათ წვიმიან ამინდში, საჭილაოს და გომბორის ქუჩებზე გავლა შეუძლებელი იყო. ამომრჩევლებმა დეპუტატს სთხოვეს ენახა ეს ქუჩები. ამხ. ხიზანაშვილმა შეისწავლა მდგომარეობა, საკითხი რაიონული საბჭოს აღმასკომში დააყენა. რაიონული საბჭოს აღმასკომმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. საჭილაოს და გომბორის ქუჩები ამჟამად ერთ-ერთი ულამაზესია ლენინის რაიონში. მათ კეთილმოსაწყობად 200.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ხალხის მსახურის მოვალეობას პატიოსნად ასრულებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 26 კომისრის სახელობის ქარხნის სტახანოველი მჭედელი ვ. კორძაძე. მან ბევრი რამ გააკეთა საბჭოს ქუჩის ნიაღვარსაშვების დროულად დამთავრებისათვის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ტერიტორიის მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისათვის.

ლენინის რაიონულ საბჭოს ფართოდ ჰყავს გამოყენებული აქტივი. მაგალითად, სტახანოველი მუშები ვ. პატარქალაშვილი და ბ. ხმიადაშვილი, რომლებსაც 14-15 წლის გეგმები აქვთ შესრულებული, ამავე დროს კარგად ეხმარებიან კომუნალური მეურნეობის მუდმივ კომისიას. მათი ინიციატივით მოასფალტებულ იქნა თბილისის საორთქლმავლო დეპოსთან მისასვლელი გზები.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სწორად მოწყობით მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის რაიონულმა საბჭომ დიდ წარმატებებს მიაღწია. რაისაბჭოს დეპუტატები ხშირად მიდიან ამომრჩევლებთან, ესაუბრებიან მათ, იციან მათი საჭიროებანი. ისინი პრაქტიკულად ეხმარებიან ახალ მშენებლობაზე მომუშავე კოლექტივებს. რაიონული საბჭოს დეპუტატის ამხ. ამირაჯიბის ჩარევის შედეგად აღმასკომმა მიიღო სათანადო ზომები და დიდუბეში მუშაობა დაიწყო კინოთეატრმა. ასევე ინიციატივიანი და ენერგიულია დეპუტატი ე. ბურჭულაძე. რაისაბჭოს შემოკრებილი ჰყავს აქტივი 4.000 კაცის რაოდენობით. ამას წინათ რაისაბჭოს აღმასკომმა აქტივისათვის მოაწყო მოხსენება თემაზე: „აქტივის როლი და ადგილი რაისაბჭოს მუშაობაში“. აქტივისტ დიასახლისთა დახმარებით რაიონში კარგად არის დაცული მწვანე ნარგავები.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაშლისათვის სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო „დეპუტატის ოთახი“. აქ ყოველდღიურად მორიგეობენ დეპუტატები, იმართება მუდმივი კომისიების სხდომები. ისინი მსჯელობენ საქალაქო მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებზე, აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და სხვ. „დეპუტატის ოთახი“ რაისაბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს.

დეპუტატი ხალხის მსახურია. იგი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს, მოუსმინოს და დაეხმაროს მათ. ამ მხრივ კარგად მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭო.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის კარგად მუშაობს მრავალი დეპუტატი, აქტივისტი, მუდმივი კომისია. პრესა სისტემატურად უნდა წერდეს ჩვენს შესანიშნავ ადამიანებზე, წერდეს მკაფიოდ, შთაგონებით, ფართო პროპაგანდას უწევდეს მათს მიღწევებს.

დიდი ლენინი გვასწავლის: „ჩვენი პრესა უნდა გახდეს ჩამორჩენილთა წამოწევის, მუშაობისათვის, შრომის დისციპლინისათვის, ორგანიზაციის გაზრდის იარაღი“. საქმე ეხება იმას, რომ ავამაღლოთ პრესის მაორგანიზებელი მნიშვნელობა დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის ბრძოლაში.

იქ, სადაც რაიონული საბჭო და მისი აღმასკომი დაინტერესებული არიან მუდმივი კომისიების მუშაობით, სისტემატურად ხელმძღვანელობენ და დახმარებას უწევენ მათ, კომისიები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან, სერიოზულ დახმარებას უწევენ საბჭოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი მუდმივი კომისიები, მათ შორის კომუნალური კომისიები როგორც საქალაქო საბჭოში, ისე რაიონულ საბჭოებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ზოგან ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. რაიონული საბჭო და მისი მუდმივი კომისიები ვალდებული არიან ორგანიზებულად, გეგმის მიხედვით წარმართონ მუშაობა.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა საბჭოების აღმასკომებისაგან განსაკუთრებულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას და ყურადღებას მოითხოვს.

ლენინის რაისაბჭოს ინიციატივით გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება წინ წასწევს საქალაქო მეურნეობას, უფრო მშვენიერს და კეთილმოწყობილს გახდის თბილისს.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას მიერ დანერგილი

ფეხსაცმლის მრეწველობამ უნდა გამოუშვას მეგი და უკეთესი ხარისხის საბავშვო ფეხსაცმელი

წერილი რედაქციისადმი

ქალბატონო!

უსაზღვროა ჩვენი სიხარული, რომ ბოლოს შევუდექით სწავლას. მაგრამ ამ სიხარულს, ცოტა არ იყოს, ჩრდილავს ის, რომ ვერსად ვიშოვნეთ ჩვენი სარგო ფეხსაცმელი. ბევრი ვიარეთ მაღაზიებში მშობლებთან ერთად, მაგრამ ვერსად ვნახეთ ლამაზად შეკერილი, ხანძლეგ ფეხსაცმელი, დაწყებული 31 ნომრიდან და დამთავრებული 34 ნომრით. ჩვენზე უფროსებისათვის და ჩვენზე პატარებისათვის სარგო ფეხსაცმელი აუარებელია, ჩვენი სარგო კი — არა.

მოგმართავთ თხოვნით დაგვეხმაროთ, რომ ჩვენი სარგო ფეხსაცმელიც ვიშოვებოდეს.

ჯემალ ზარანდია, სერგი ზარანდია, ანა გოგასიძე, ვალერიან გაბედავა, გივი გაგუა.

• • •

ბავშვების ეს საყვედური სამართლიანია. მართალია, მაღაზიებში არის ბევრეთ წოდებული ზომანაკლები ფეხსაცმელი (31, 32, 33 და 34 ნომრები), მაგრამ ამ ფეხსაცმლის ხარისხი ასეთი არ არის, რომ მომხმარებელი მიიზიდოს. მაღაზიებში აქვთ ასეთი ფეხსაცმელი უმთავრესად ქსოვილი ფეხაბირით და რეზინის საძირით. ფეხსაცმელი შეკერილია უხეშად, ულამაზოდ.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამინისტრომ ორ ფაბრიკას დაავალა გადასულიყვნენ ზომანაკლები საბავშვო მაღალარისხოვანი ფეხსაცმლის გამოშვებაზე, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი ფეხსაცმელი ფაბრიკებიდან არცერთი წყვილი არ მიუღიათ სავაჭრო ქსელში.

მშვენიერ საბავშვო ფეხსაცმელს აშვებს 26 კომისრის სახელობის ფეხსაცმლის საარტელო საწარმო, მაგრამ აშვებს ცოტას, და ეს ბაზარზე გავლენას ვერ ახდენს. სარეწაო კოოპერაციას აქვს საშუალება მეტი რაოდენობით გამოუშვას კარგი საბავშვო ფეხსაცმელი, მაგრამ ჯერჯერობით ასე არაა.

ხშირად ბავშვების მოთხოვნილებისადმი უყურადღებობას იჩენენ სავაჭრო ორგანიზაციებიც. თბილვაჭრობამ მეორე კვარტალში მიიღო მრავალი მილიონი მანეთის ფეხსაცმელი, ხოლო მათ შორის ზომანაკლები საბავშვო ფეხსაცმლის რაოდენობა 5 პროცენტს შეადგენდა. ეს იმ დროს, როცა მომმარაგებელი ორგანიზაციისაგან თბილვაჭრობას შეეძლო ბევრად უფრო მეტი რაოდენობით მიეღო სარეალიზაციოდ საბავშვო ფეხსაცმელი. ასევე ოიდ აბაზია „პიონერის“ ხელმძღვანელობაც. ამას წინათ მათ სარეალიზაციოდ შეარჩიეს 100.000 მანეთის საბავშვო ფეხსაცმელი. მათ შორის 11,12 და 13 წლის ასაკის ბავშვების სარგო ფეხსაცმელი მხოლოდ 10.000 მანეთისა იყო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამინისტრომ და ფეხსაცმლის ფაბრიკების კოლექტივებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ საბავშვო ფეხსაცმლის ხარისხი, მიაწოდონ ნორჩ თაობას ლამაზად და გემოვნებით შეკერილი ფეხსაცმელი.

პატარა ფელეტონი

გაიგებს, როგორ არ გაიგებს

— რას მერჩით, რა დავაშავე? ერთი უბრალო კაცი ვარ, უწყინარი. გეფიცებით, რაც ქვეყნად გავჩენილვარ, ბოროტება არ ჩამიდენია.

ქობულეთის ამბავზე მედავებით? სირცხვილია. თვითონ არტელი „რეკორდი“ რა არის, რომ მის ტექნიკურ ხელმძღვანელადაც არ გამიჩერეს. ან რა მოსაგონარია რაღაც 6.127 მანეთი და 43 კაპიკი, ვალად რომ გამომყავ. მოგიკვდეთ ჩემი თავი, რამდენი ასეთი ათასები შემიჭამია, მაგრამ ყველა არტელის არქეოლოგიური გათხრები რომ მოაწყოთ, საბუთების კვალსაც ვერ მიაგნებთ. ყველაფერს შნო უნდა.

ჰო და... ქობულეთიდან რომ „გამომისტუმრეს“, მეც მახარაძის რაიონი ავიარჩიე. თვალში მომხვდა არტელი „ინვალიდთა ამხანაგობა“. ძმა-ბიჭებმა 1948 წლის ივნისში მომნათლეს. ამიერიდან მეწოდა მმართველი არტელის სამშენებლო-სარემონტო კანტორისა. სამუშაოთა მწარმოებლად დამინიშნეს დავით ლოლაძე, ხოლო ბრიგადირად გიორგი სერიკოვი. სამმა ხელმძღვანელმა ავიყვანეთ ორი მუშა, გამოვიწერეთ საწერი ქაღალდი და შევუდექით ხელშეკრულებების გაფორმებას. ვწერთ სუფთა ქაღალდზე, ვდებთ ხელშეკრულებებს, ვიღებთ ფულს... სამუშაო კი?!

იქნებ არ დამიჯეროთ, მობრძანდით, გვინახულეთ, ყველაფერი რიგზეა...

ჯერჯერობით, ხელშეკრულების თანახმად, ათიოდე სახლი დავანგრიეთ, ოცამდე დარაბა დავარბიეთ... ერთი სიტყვით, საქმე კარგად მიდის. ყოველ შემთხვევაში არტელის კომისია ჩვენს ნამუშევარს მუდამ მაღალ შეფასებას აძლევს. ამაში დიდ დახმარებას გვიწევს რაიკავშირის სასადილო...

კომბინაციებს აკეთებო, მეუბნებით. აბა თქვე კაი კაცებო იმ სასადილოში უფულოდ ხომ ვერ შევალ. სხვადასხვა ორგანიზაციებისგან მიღებული 20 ათასი მანეთი შემოსავალში რომ არ გავატარე, ან ფურნის შეკეთებაში 43 ათასი მანეთი რომ მივიღე და ახლა მედავებიან, გეგონათ ჯიბეში შევინახე?!. მარტო მე რომ მომადექით, სამართალია?! ბუხჰალტერმა ლ. ფასეიშვილმა და მოლარე ზ. ბაჯელიძემ ყალბი უწყისები რომ შეადგინეს და 896 მანეთი და 89 კაპიკი მიითვისეს, ჩემთვის ხომ არ მოუციათ?! ფასეიშვილმა გამყიდველ ხ. გოგიბერიძეს 244 მანეთი რომ დააკლო და ყასაბ სიროძისაგან 7 ათასი მანეთი „ჩაიბარა“, ისიც მე უნდა გადავიხადო?! იქნებ ბაჯელიძესაც მე ვურჩიე, როცა იგი ხარიტონ გოგიბერიძის ნაცვლად 280 მანეთის მიღებაზე ჩუმად ხელს აწერდა (მართალია ხელმოწერა ვერ მიამსგავსა, მაგრამ ფული ხომ მიიღო).

აი ახალი ამბავი! არტელში 23 ათასი მანეთის საბუთი რომ დაიკარგა, ამასაც მე მაბრალებენ?! ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს, ვერ დავმალავ. ფასეიშვილმა და ბაჯელიძემ ამა წლის 3 მარტს სადგურ ნოვოჩერკასკში ექვსი ტონა ვაშლი გაგზავნეს (ვაგონი № 497617, ზედდებული № 797624). მისი ღირებულება განა არტელს აწყენდა? მაგრამ ამა კარგად გაიკითხეთ და დარწმუნდებით, როგორ გაანაწილეს იგი მისმა მესვეურებმა. თუმცა, ჩვენს შორის კი დარჩეს, დიდი ხარჯიც ნახეს. ხუმრობა ხომ არ არის — რკინიგზის მახარაძის სადგურის უფროსის ალ. დონდუას და ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კომერციული ნაწილის უფროსის ფრანგიშვილის ამაგს დაფასება არ უნდოდა? შეერგოთ, მათზე ალალია, ჩემთვისაც ბევრჯერ გაუმართია ხელი.

ქობულეთის არტელი „რეკორდიც“ მედავებოდა, მაგრამ ჩავაჩუმე. პირადი ვალის დასაფარავად გადავურიცხე 6.127 მანეთი და 43 კაპიკი. ოპერაცია მოხდა მახარაძის სახელმწიფო ბანკში 1948 წლის 30 დეკემბერს და ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო, ასეთი ანგარიშიც შევადგინე:

„შემკვეთი: მახარაძის რაიონის არტელი „ინვალიდთა ამხანაგობა“. შემსრულებელი: ქობულეთის არტელი „რეკორდი“. დახერხილია 43 კუბური მეტრი ხე-ტყე. ერგებათ 6.127 მანეთი და 43 კაპიკი“.

ყველაფერი კეთილად დასრულდა. თუმცა ხე-ტყე არც მქონია და რომ მქონოდა, რაღა ქობულეთში წავიღებდი, მახარაძეში სახერხი ქარხნების მეტი რა არის?.

კიდევ ვინ მოთვლის, ამის მსგავსი რამდენი „კარგი“ საქმე გამიკეთებია, რამდენი ბოთლი ღვინო დამილევია, მაგრამ ბედი არა მაქვს, მაინც მემდურიან.. რატომ, რა დავაშავე?!.

იქნებ ჩემი სახელი—აკაკი არ მოსწონთ, ან იქნებ ჩემი გვარი—აბაშიძე.

იქნებ...

გაიგებს კი აკაკი აბაშიძე, რა არ მოსწონთ მისი?! გაიგებს, როგორ არ გაიგებს, როცა სათანადო ორგანოები მის ბოროტმოქმედებას ფარდას ახდიან და სამსჯავროს წინაშე საბოლოო სიტყვაში ათქმევინებენ:

— დიახ, მოსამართლენო! თავს დამნაშავედ ვცნობ!..

ვ. ჯაყელი
ბ. ეკალაძე

შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო საბჭო

ტყიბული. (სპეც. კორ.). წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს საწერის სასოფლო საბჭო. საბჭომ გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და ფულადი სახსრების აკრეფის მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმები. დასახული ამოცანების განხორციელებისათვის სასოფლო საბჭომ მტკიცედ დარაზმა დეპუტატები და აქტივი. კარგად მუშაობენ მუდმივი კომისიები. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. გვენეტაძე ყოველდღიურად ხელმძღვანელობს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას. დეპუტატები სისტემატურად ხვდებიან ამომრჩევლებს.

რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ საწერის სასოფლო საბჭო ცნობილ იქნა საბჭოებს შორის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეკუთვნა პრემია.

საბავშვო სახლი რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). აქ შეიქმნა რესპუბლიკური საბავშვო სახლი, რომელიც ყოველწლიურად მოამზადებს 150 ახალგაზრდა სპეციალისტს. ისინი გამოყენებული იქნებიან მეტალურგიული ქარხნისა და მისი მშენებლობის საჭიროებისათვის.

საბავშვო სახლში მიიღებიან უდედმამო ბავშვები 9 წლის ასაკიდან. გარდა აკადემიური მეცადინეობისა ისინი სახელოსნოებში შეისწავლიან სხვადასხვა ხელობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წელს საბავშვო სახლის ინვენტარის, ხელსაწყოებისა და მოსწავლეთა ტანსაცმლის შესაძენად გამოჰყო 600 ათასი მანეთი. სკოლისათვის უკვე გამოყოფილია ორსართულიანი 46-ოთახიანი კაპიტალური შენობა, სადაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რემონტი. ეწყობა სახელოსნო ოთახები, სასადილო, ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო პუნქტი, პიონერთა ოთახი და სხვ. მიმდინარეობს სკოლის აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრების შერჩევა და დაკომპლექტება.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ 1 ოქტომბრიდან სკოლამ ორგანიზებულად დაიწყოს მეცადინეობა.

შენდება მგს-ის ახალი სახელოსნო

სიღნაღი. (საკ. კორ.). ულიანოვკის მტს-ის სარემონტო სახელოსნო მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა. ამას წინათ აქ დაიწყო და სწრაფი ტემპით შენდება ახალი სარემონტო სახელოსნო. ნაგარაუდევია, რომ წელს ტრაქტორებისა და კომბაინების საზამთრო რემონტი ახალ, კეთილმოწყობილ სახელოსნოში მოეწყობა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპონდენტის წერილი ტყიბულიდან.

როგორც ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. გორგიძე გვატყობინებს, რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურად განიხილა წერილში აღძრული საკითხები. პრეზიდიუმმა დაავალა საშახტო კომიტეტს შახტის ადმინისტრაციასთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღოს კოლექტიური ხელშეკრულების ყველა მუხლის შესრულებისათვის. კოლექტიური ხელშეკრულების ტექსტი ორი ათასი ეგზემპლარის რაოდენობით დაიბეჭდა სტამბაში და გადაეგზავნა საშახტო კომიტეტს.

პრეზიდიუმმა გაფრთხილება მისცა ლენინის სახელობის შახტის პროფორგანიზაციის თავმჯდომარეს ამხ. გ. სოფრომაძეს ხელშეკრულების შესრულებისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის და დაავალა მას გამოასწოროს აღნიშნული მდგომარეობა.

საერთაშორისო მიმოხილვა

წყნარი ოკეანის კავშირის შექმნის ამერიკული გეგმები

უცხოეთის პრესაში და უწინარეს ყოვლისა ამერიკულ პრესაში ფართო პროპაგანდას უწევენ ე. წ. „ერთეულ წოდებული წყნარი ოკეანის კავშირის შექმნის გეგმებს, „ეკონომიურად“ მას განიხილავენ, როგორც მარშალის გეგმის აზიურ ვერსიას, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით—როგორც ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული ხელშეკრულების განშტოებას.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ „დასავლეთის კავშირი“, სახელმწიფოთა საამერიკათაშორისო დაჯგუფება, ისევე როგორც ხმელთაშუა ზღვის, სკანდინავიის ქვეყნებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამხედრო ბლოკები, რომლებიც მზადდება,—ყველა ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ატლანტიკის ხელშეკრულების მიზნების და უწინარეს ყოვლისა ინგლის-ამერიკის ბატონობის დამყარების განხორციელებასთან.

ამერიკის იმპერიალისტები თავიანთ აგრესიულ გეგმებში დასავლეთ გერმანიასა და იაპონიას მთავარ როლს აკისრებენ, განიხილავენ მათ როგორც თავიანთ თანამონაწილეებს აგრესიის მომზადებაში.

სწორედ ეს არის როგორც გერმანიასთან, ისე იაპონიასთან საბაჟო ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურების მიზეზი შეერთებული შტატების მხრივ.

წყნარი ოკეანის კავშირის ცენტრი, მისი ორგანიზატორების აზრით, უნდა იყოს იაპონია. ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ ინტერესს იწვევს გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ ენდ ამერიკენში“ დაბეჭდილი მაკარტურის განცხადება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების „უშიშროება“ „დამოკიდებულია იაპონიაზე, და ამერიკის ჯარებმა უნდა განაგრძონ იაპონიის ოკუპაცია გაურკვეველი დროის განმავლობაში“. ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებით სწორედ ხანგრძლივმა ოკუპაციამ უნდა უზრუნველყოს იაპონიაში რეაქციული რეჟიმის შენარჩუნება, მოაქციოს იაპონია ამერიკელ მონოპოლისტთა კონტროლში და გახადოს იგი ამერიკის აგრესიული პოლიტიკის იარაღად.

წყნარი ოკეანის კავშირის „ინიციატორად“ გამოვიდა ფილიპინების პროამერიკული პრეზიდენტი კირინო. კირინო ჩან კაი-შის შეხვედა ბაგიოში (ფილიპინები). შემდეგ ჩაინ კაი-ში შეხვდა სამხრეთ კორეის პროამერიკული მარionეტული „მთავრობის“ მეთაურს ლი სინ მანს. ბაგიოში გამოქვეყნებულ კირინოსა და ჩან კაი-შის ერთობლივ განცხადებაში წყნარი ოკეანის კავშირი განსაზღვრულია როგორც შორეული აღმოსავლეთის „ანტიკომუნისტური ბლოკი“. კირინოს გამგზავრება ვაშინგტონს და მისი შეხვედრა პრეზიდენტ ტრუმენთან ეჭვს აღარ ტოვებს იმაში, თუ ვინ აწესრიგებს მოლაპარაკებას ბაგიოში, სეულსა და ტოკიოში.

ტრუმენთან შეხვედრის შემდეგ ფილიპინების პრეზიდენტმა გულახდილად განაცხადა, რომ „წყნარი ოკეანის პაქტის იდეა არ გამორიცხავს მის მონაწილეთა სამხედრო ვალდებულებებს“.

დამახასიათებელია ამერიკულ ჟურნალ „ლუკის“ შემდეგი მტკიცება: „კომუნიზმისგან აზიის გადასარჩენად ჩვენ გვჭირდება მაკარტურის გეგმა და წყნარი ოკეანის პაქტი“.

იაპონიის გაზეთი „იომიური“ უკვე წერს „მარშალის გეგმის აზიური ვერსიის შესახებ რომელმაც უნდა მოიცვას ფილიპინები, ინდოეთი, ბირმა, ცეილონი, სიამი, ინდო-ჩინეთი, ჰონკონგი, აგრეთვე, თუ ეს შესაძლებელი იქნება, ავსტრალია და ახალი ზელანდია“.

ტოკიო სულ უფრო მეტად ხდება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ყურადღების ობიექტად. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფის მოგზაურობა. როგორც ასოშიეიტედ პრესის საagენტომ გადმოგვცა, „შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ყოფნის დროს, ისინი, ალბათ, მოახდენენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას წყნარი ოკეანის კავშირის შექმნის საკითხზე“. ამ ნაჩქარევი მოგზაურობის საბოლოო მიზანი იაპონიაა. აქ ამერიკის მისია მაკარტურთან დაწვრილებით განიხილავს იაპონიის პრობლემის ყველა მხარეს წყნარი ოკეანის პაქტის რეალიზაციის თვალსაზრისით.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა ახალი დაჯგუფებების შექმნის ბომბზაღები, რასაკვირველია, არ სპობს წინააღმდეგობებს გათვალისწინებული წყნარი ოკეანის კავშირის პარტნიორებს შორის, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. შემთხვევით როდი გაემგზავრა ტოკიოში შეერთებული სამეფოს გენერალური კომისარი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში მაკდონალდი ამერიკის მისიის შემდეგ. მას განზრახული აქვს „აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოახდინოს“ მაკარტურთან, აგრეთვე შეხვდეს იაპონიის მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენლებს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცნობა მელბურნის თათბირის შესახებ, სადაც იკრიბებიან ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სამხედრო ექსპერტები და ინგლისის კავშირგაბმულობის ოფიცრები წყნარი ოკეანის კავშირის პრობლემის განხილვის მიზნით.

უცხოეთის პრესის ცნობებით, ავსტრალიის მთავრობას განზრახული აქვს „ინიციატივა შეინარჩუნოს“ ამ საკითხში და ფიქრობს (ალბათ, ინგლისთან ერთად), თავისი გავლენის სფეროში დატოვოს ინდოეთი, პაკისტანი, ცეილონი, მალაია, ჰონკონგი.

მაგრამ წყნარი ოკეანის პაქტის ბევრ ორგანიზატორს ფართო გეგმების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობის ეშვი ღრღნის.

ჩანს ყველაზე ფხიზელმა დასავლეთელმა და შორეულ აღმოსავლეთელმა პოლიტიკოსებმა შეიგნეს, თუ რა ცოტას ნიშნავს დოლარი და იარაღი თავის თავად, თუ ხალხებს არ სურთ აგრესიული პაქტების საშიში გზით იარონ და მშვიდობას უპირველ მბარს.

ავსტრალიაში საარჩევნო კამპანიის გამო

ერთი თვის შემდეგ—9 ოქტომბერს—ავსტრალიაში შედგება საპარლამენტო არჩევნები.

როგორც ცნობილია, 1945 წლის შემოდგომაზე მომხდარ საპარლამენტო არჩევნების შედეგად ავსტრალიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ეგრეთ წოდებული სახალხო პარტიისა და სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის კოალიცია.

სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ლიდერებმა, რომლებიც რეაქციულ სახალხო პარტიასთან კოალიციაში გაერთიანდნენ, არა მარტო უარი თქვეს ავსტრალიაში ფერმერული გადაქცევის ღონისძიებათა განხორციელებაზე, არამედ მთელი ძალა-ვიანთი პოლიტიკით ხელს უწყობდნენ ინგლის-ამერიკის გეგმების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ ავსტრალია ჩაებას ატლანტიკის აგრესიული პაქტის სისტემაში, კოლონიურად დაიმონონ და გაძარცვონ.

ფიგულ შერფის კოალიციური მთავრობის ოთხი წლის მართვის მანძილზე, აღნიშნავდა თავის მოხსენებაში კომუნისტური პარტიის სრულიად ავსტრალიის ამასწინანდელ კონფერენციაზე კომპარტიის თავმჯდომარე კოლენგი, „ღარიბები უფრო გაღარიბდნენ, ხოლო მდიდრები უფრო გამდიდრდნენ. მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო მზარდი ექსპლოატაციის სისტემას, აგრეთვე მარშალის გეგმაში ავსტრალიის მონაწილეობას მოყვა სერიოზული საფრთხის წარმოშობა ავსტრალიის მუშათა კლასისა და მთელი ავსტრალიელი ხალხისათვის — მასობრივი უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდის საფრთხე“.

ჯერ კიდევ 1945 წელს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე შერფი პროპაგანდას უწევდა იმას, რომ ავსტრალია გადაქცეულიყო ამერიკის ეკონომიკის სანედლეულო დანამატად, და აღნიშნავდა, რომ ავსტრალიის მსხვილ მრეწველობას „ძალა არ შესწევს“ გაუძლოს დასავლეთის მრეწველობის კონკურენციას. ეს იყო ნიადაგი, რომელმაც შემდგ მოამზადა მარშალის გეგმისადმი ავსტრალიის დამორჩილება.

ბეტონუაზიული სახალხო პარტიისა და მემარჯვენე სოციალისტთა ანტინაციონალურ პოლიტიკას მოაყვა ავსტრალიის ეკონომიკის დაწვრილა. მარშალის გეგმაში ავსტრალიის მონაწილეობის შედეგად უკვე დაისახა დამშუშავებული მრეწველობის განვითარების მკვეთრი ჩამორჩენა მომპოვებელ მრეწველობასთან შედარებით. ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების (რასაც დიდი რაოდენობით ეზიდებიან საზღვარგარეთ) ნაკლებობის გამო, იკვეცება მრეწველობის მთელი დარგები. ბევრი საწარმოო გადადის არასრულ სამუშაო დღეზე. მარტო 1948 წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე უმუშევარ მელბორნეთა რიცხვი გაიზარდა 141 პროცენტით, ფეიქართა—41 პროცენტით, კვების მუშაკთა 119 პროცენტით და სხვ.

მშრომელთა საარსებო დონეზე შეტევას თან სდევს კაპიტალისტთა მოგების ზრდა, ომისშემდგომ წლებში მათ რამდენიმე მილიარდი შილინგი წმინდა შემოსავალი მიიღეს.

ავსტრალიის მემარჯვენე სოციალისტები უფრო და უფრო აშკარად უერთდებიან ავსტრალიის რეაქციულ ძალებს. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა სახალხო პარტიასთან კოალიციის მეშვეობით, ნეიფაშისტებთან შეთანხმებული აღმოჩნდა. ამავე დროს მემარჯვენე სოციალისტთა პარტნიორი კოალიციაში — სახალხო პარტიის ხელმძღვანელი ხროვა ამზადებს გასამბედროებული ფაშისტური რაზმების (ანაბეგრის) აღდგენას და ცდილობს შეაკოწიწოს რეაქციული ძალების ერთიანი ფრონტი.

ახლანდელი კოალიციის საქმიანობას ნათელ შუქს ფენს პრესაში დაბეჭდილი ცნობები ჰიტლერელ მეთაურებთან სახალხო პარტიის ლიდერების საიდუმლო შეთანხმების შესახებ საარჩევნო კამპანიის ერთობლივად ჩატარების გამო. ამერიკის ზონაში შედგარ საიდუმლო თათბირზე გადაწყდა, რომ ჰიტლერელები დარაზმავენ მთელ თავიანთ მომხრეებს სახალხო პარტიის მხარდასაჭერად მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. ამისათვის მათ დაჰპირდნენ, რომ ავსტრალიის პრეზიდენტის პოსტზე სახალხო პარტია წამოაყენებს ნაცისტებისათვის „მისაღებ“ კანდიდატურას.

ჰიტლერელებმა მოითხოვეს, რომ სახალხო პარტიამ მათთვის უზრუნველყოს 25 საპარლამენტო მანდატი და მთელი რიგი სახელმწიფო პოსტები.

ჰიტლერელთა წარმომადგენლების სახით თათბირში მონაწილეობდნენ ჰიტლერული „უშიშროების სამსახური“ ყოფილი უფროსი ვენაში ჰეტლი, სოკედილით დასჯილ ომის დამნაშავე კალტენბრუნერის ყოფილი ადუტანტი ტეო ბურერი და სხვები.

ასეთ ვითარებაში ჩაღდება წინასაარჩევნო ბრძოლა. მკვეთრად დაისახა ორი ბანაკი—მემარჯვენე და მემარცხენე ბლოკები.

მემარჯვენე ბლოკი—ეს არის რეაქციის ერთიანი ფრონტი, რომელიც ვრცელდება სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ლიდერებიდან ნეიფაშისტებამდე.

მემარცხენე ბლოკში შედიან კომპარტია და პროგრესული სოციალისტების გაერთიანება. მან მიიღეს გადაწყვეტილება საარჩევნო კამპანიის ერთობლივად ჩატარების შესახებ. წამოყენებული იქნება კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალისტების ბლოკის კანდიდატთა საერთო სიები.

თავის საარჩევნო პროგრამაში მემარცხენე ბლოკი აღნიშნავს ფაშიზმისა და მილიტარიზმის აღორძინების საფრთხეს. ბლოკი იბრძვის ისეთი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო ხელშეკრულების უსწრაფეს დადებას და ავსტრალიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას.

მემარცხენე ბლოკი გამოდის მარშალის გეგმის წინააღმდეგ, რომელიც სპობს ავსტრალიის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

თავისი პირველი რიგის ამოცანად იგი ისახავს ბრძოლას ქალაქად და სოფლად მშრომელთა მზარდი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყველა მშრომელის დასაკმაყოფილებლად საკმო საარსებო მინიმუმით.

მემარცხენე ბლოკი გამოდის ისეთი ეკონომიური პოლიტიკის მომხრედ, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება კარტელებისა და მონოპოლიების დიქტატურის გატეხვა, მრეწველობის მთავარი დარგების ნაციონალიზაციის გატარება და ეკონომიკის გეგმიანი ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

მემარცხენე ბლოკი აყენებს მთელ რიგ სხვა მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია ავსტრალიის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისაკენ, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დემოკრატიის განმტკიცებისაკენ.

მემარცხენე ბლოკის შექმნა აზილ ბიძგი გახდა მშრომელი მასების აქტიურობის გაძლიერებისათვის. სულ უფრო ფართო მასები ერევიან მემარჯვენე სოციალისტთა გამცემლურ პოლიტიკაში და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საჭიროა დარაზმვა მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგებით.

მ. აფოლინი

ბიგოს ხელისუფლება ფერრერიეს აყენებს ბერძენ ლეგიონერ დემოკრატებს

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკ.კორ.). აქ იუწყებიან, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე მოვიდა პირველი ტრანსპორტი ბერძენი ლტოლვილი დემოკრატებით, რომლებიც იუგოსლავიაში იმყოფებოდნენ. ტიტოს მთავრობა იძულებული გახდა საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით და თვით ბერძენ ლტოლვილ დემოკრატთა მოთხოვნით ნება დაერთო მათთვის წასულიყვნენ სახალხო დემოკრატიის ერთ-ერთ ქვეყანაში, როგორც ამას წინათ მოითხოვდა ამას საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობა.

პირველი ტრანსპორტით ჩეხოსლოვაკიაში მოვიდა 1.221 კაცი. მეტწილად ესენი არიან მოხუცები, ქალები, ბავშვები და ინვალიდები. როგორც ლტოლვილები ამბობენ, იუგოსლავიაში ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში იყვნენ, სადაც ტიტოელი ხელისუფლები მათ ტერორქვეშ აყენებდნენ. ბევრი მათგანისაგან მოითხოვდნენ უარეყოთ თავიანთი პოლიტიკური რწმენა და რანკოვიჩის პოლიციის აგენტები გამხდარიყვნენ.

ქვლავ ხარობს ვაზი აჭარაში!

ვაზი საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი კულტურაა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ვაზის კულტურასთან დაკავშირებულია ქართველების ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების ბევრი თავისებურება. ამიტომაც იყო, რომ ძველად თურქი დამპყრობლები, როდესაც ჩვენს ქვეყანას შემოესიენ ხოლმე, კულტურულ საუნჯეებთან ერთად ვენახებსაც ანადგურებდნენ. ასე იყო კერძოდ აჭარაში, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე თურქ ბარბაროს დამპყრობთა ტყვეობაში ტანჯულიყო, ვიდრე მოძძე რუსმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა მხედრობამ არ იხსნა იგი ამ ოთხმოციოდე წლის წინათ და არ დაუბრუნა თავის ღვიძლ დედას — საქართველოს.

ისტორიულად ცნობილია, რომ ისე, როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც უძველესი დროიდან მისდევდნენ მევენახეობას. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ამბობს: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი“. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, რომ აჭარაში დიდად ყოფილა გავრცელებული ვაზის კულტურა, დასტურდება ჩვენს დღეებში აჭარისწყლის ხეობის მთელ რიგ სოფლებში ძველი მამაპაპეული ჭურ-მარნების აღმოჩენით. ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, მოლოტოვისა და სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობებში, ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურის, სტალინისა და სტახანოვის სახელობის, შუახევის ორჯონიკიძის სახელობისა და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში, მას შემდეგ, რაც იქ მევენახეობის აღდგენას მიჰყვეს ხელი, აღმოჩენილ იქნა უხსოვარი დროიდან მიწის სიღრმეში დამარხული ჭურები და ქვევრები, რომლებშიც თავის დროზე ღვინოს ინახავდნენ. ბევრგან ეს ჭურები ისე ძარგად შემონახულა, რომ მათ ახლაც იყენებენ მევენახეები.

თურქი დამპყრობლები აჭარაში ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილით მოესპოთ და გაენადგურებინათ ყოველივე ქართული, შეეხებოდა ეს კულტურას, თუ მეურნეობას. მაგრამ ძიუხედავად ამისა ვერ შესძლო მოძალადემ მიეღწია თავისი მიზნისათვის, ვერ შესძლო აჭარის ნიადაგში ღრმად ფესვებგადგმული ვაზის სრულად ამოძირკვა, და, როგორც კი ამის პირობა დადგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით, ნავენახარზე კვლავ აღმოცენდა ქართული ვაზი, კვლავ იხარა აჭარაში შემონახულმა ვაზის ისეთმა ჯიშებმა, როგორიცაა ჩხავერი, კლარჯული, ჭიჭაბერა, ალმურა, ჯავახეთურა, ბროლა, ხოფათურა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში მევენახეობის აღდგენა-განვითარებას არ ექცეოდა ყურადღება. არც მეფის მთავრობა და არც უდღეური მენშევიკები არ იწუხებდნენ თავს ამ საქმით, მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობის აღდგენას აჭარისათვის, თურქთა ტყვეობიდან მისი გამოხსნის შემდეგ, გარდა სამეურნეო მნიშვნელობისა, ეროვნული მნიშვნელობაც ენიჭებოდა. მხოლოდ ჩვენს დროში — საბჭოთა წყობილების პერიოდში მიექცა ამ გარემოებას ყურადღება და სოფლის მეურნეობის სხვა ძვირფას კულტურათა დანერგვასთან ერთად, ინტენსიურად გაჩაღდა აჭარაში მევენახეობის განვითარებაც. ახლა აჭარაში 178

უცხოეთის გამოხმაურება იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტაზე

ბულგარეთი

სოფია, 2 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ბულგარული გაზეთები განაგრძობენ იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა ნოტის კომენტარებს. გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ წერს: „ახალმა საბჭოთა ნოტამ იუგოსლავიის მთავრობისადმი სლოვენიის კარინტიის საკითხზე ბოლომდე გამოაშკარავა ტიტოელთა დანაშაულებრივი ყალთაბანდობა და მდაბალი მოღალატური და ფაშისეფსლური პოლიტიკა. უდავო ფაქტების ძალით ტიტოელები მოქცეულნი არიან ჩიხში, და მთელი მსოფლიოს წინაშე გაშიშვლდა მოღალატეთა, იუგოსლავიელი ხალხებისა და საერთაშორისო დემოკრატიული ბანაკის ინტერესებით ბინძურ მოვაჭრეთა, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის მიერ უბადრუკ დაქირავებულთა და მსახურთა სახე“.

გაზეთი აქვეყნებს ქალაქ რუსედან მიღებულ დეპეშას, რომელშიც ნათქვამია:

„ქალაქ რუსეში მცხოვრებმა იუგოსლავიელმა-პოლიტიკურმა ემიგრანტებმა, კომუნისტებმა და უპარტიოებმა, განიხილეს საბჭოთა მთავრობის სპასუხო ნოტები, ისე როგორც იუგოსლავიის მთავრობის ნოტები, და მიიღეს შემდეგი რეზოლუცია:

სსრ კავშირის მთავრობის სპასუხო ნოტები ისეთი დოკუმენტებია, რომლებიც სავსებით აშკარავებენ ტიტოელთა მაქინაციებსა და ორპირობას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ხორციელდება უპატიოსნო შეთანხმებების, საშინელი ტერორის, ძალადური გესტაპოური მეთოდებისა და საშუალებათა გზით.

საბჭოთა მთავრობის სპასუხო ნოტები ამტკიცებენ, რომ იუგოსლავიის მმართველები საბოლოოდ გადაბარგდნენ იმპერიალიზმის ბანაკში, რომ მათ იმპერიალისტებს მიჰყიდეს იუგოსლავიის ხალხების ეროვნული ინტერესები და რომ მათ იუგოსლავია იმპერიალისტური მონობისა და ექსპლოატაციისაკენ მიჰყავთ“.

გაზეთი „ნაროდნა მლადეჟი“ აქვეყნებს ქალაქ გორნა ჯოუმაის ახალგაზრდობის წერილს იუგოსლავიელი ახალგაზრდობისადმი. წერილში, კერძოდ ნათქვამია:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იუგოსლავიელი ხალხი, რომელიც სულდგმულობს დემოკრატიული ბანაკით დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, მოიპოვებს ძალებს, რათა მოსპოს ტიტოელთა ფაშისტური ბუდე.

გისურვებთ რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის გამცემთაგან და დაბრუნდეთ სოციალიზმის ბანაკში“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 2 სექტემბერი. (საკადესი). იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტას უნგრული პრესა და საზოგადოებრიობა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევენ.

გაზეთი „�o უიშაგი“ კომენტარს უკეთებს ნოტას და წერს: „საბჭოთა კავშირის მთავრობა პირველად როდი ჰგლეჯს ნიღაბს ბალკანეთში იმპერიალისტთა მოიერიშე რაზმს—ტიტოს ხროვას. საბჭოთა ნოტამ ფაქტებითა და დოკუმენტებით დამტკიცა, რომ იუგოსლავიის მთავრობამ ოფიციალურად უარყო სლოვენიის ხალხების, და ბაზასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ იუგოსლავიის მთავრობამ უარი თქვა სლოვენიის კარინტიაზე და შეეცადა ამისათვის პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირისათვის დაკისრებინა. მაგრამ ტიტოელთა ყველა მაქინაცია ამაო გამოდგა.

იუგოსლავიელ ხალხს შეცდომაში ვეღარ შეიყვანენ იმის მტკიცებით, რომ იუგოსლავიის მთავრობა „სოციალიზმს აშენებს“. ახლა მან იცის, რომ ტიტო-რანკოვიჩის ხროვა გადაბარგდა მშვიდობის მტერთა ბანაკში, ახალი ომის გამჩაღებელთა ბანაკში, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მტერთა ბანაკში“.

საბჭოთა მთავრობამ თავისი უკანასკნელი ნოტით, წერს დასასრულ გაზეთი, კვლავ დიდი სამსახური გაუწია მშვიდობის საქმეს. და დაჩაგრულ, ტერორიზებულ იუგოსლავიელ ხალხს, იუგოსლავიელ პატრიოტთა წინააღმდეგობა ტიტოს მოღალატური ბანდისადმი სულ უფრო აქტიური ხდება. დემოკრატიისა და სოციალიზმის სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს იუგოსლავიაში გამეცმლობის, ძალადობისა და ტერორის პოლიტიკაზე.

ალბანეთი

ტირანა, 2 სექტემბერი. (საკადესი). ალბანური გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის უკანასკნელმა ნოტამ იუგოსლავიის მთავრობისადმი კვლავ ჩასცა ლაბვარი იმ მანევრებს, რომლებიც ბელგრადის მოღალატურმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ხროვამ დაიწყო იუგოსლავიის ხალხების საზიანოდ და თავისი იმპერიალისტური ბატონ-პატრონების დასახმარებლად.

საბჭოთა ნოტა იუგოსლავიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალში ერთხელ კიდევ აშკარავებს იუგოსლავიის მთავრობის მოღალატური და ფაშისეფსლური თამაშის მთელ სისაძაგლეს, იუგოსლავიის მთავრობისა, რომელიც უგულებელყოფს იუგოსლავიის ეროვნულ ინტერესებს. ნოტა სავსებით აშკარავებს აგრეთვე ბელგრადის ხროვის, როგორც იმპერიალიზმის ერთგული ლაქიის როლს. ეს ხროვა არ იშლის ცილისწამებას სსრ კავშირის მიმართ.

საბჭოთა ნოტაში, აღნიშნავენ გაზეთები, ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხი იუგოსლავიის მთავრობას ახასიათებს, როგორც სოციალიზმის ბანაკის ბოროტ დეზერტირს. ამას ფიქრობს ახლა ბელგრადის მმართველებზე მთელი დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი. ალბანელმა ხალხმა, ამტკიცებენ გაზეთები, რომელიც კარგად გაეცნო ტიტოს ხროვის მოღალატურ და საზიზღარ პრაქტიკას, იცის, თუ რა მანევრებსა და მაქინაციებს შეიძლება მიმართოს ამ ხროვამ, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის მოწინააღმდეგეთა სამსახურშია.

რუმინეთი

ბუქარესტი, 2 სექტემბერი. (საკადესი). რუმინული პრესა განაგრძობს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის კომენტარებას.

დღეს გაზეთი „უნივერსული“ სტატიაში „ბელგრადის ფაშისტური ხროვა“ აღნიშნავს, რომ ბელგრადელი ხელმძღვანელები უგულებელყოფდნენ მომმე კომუნისტური პარტიების კრიტიკას და საჭიროდ არ მიიჩნიეს თავისი პოზიციის გადასინჯვა. ტიტოს მთავრობამ დამტკიცა, რომ მშვიდობისა და სოციალიზმისადმი მტრული მისი ფაშისტური პოზიცია შემთხვევითი როდია. საჭირო არ არის, განაგრძობს გაზეთი, შეეჭიერდეთ იმაზე, რომ იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკა ფაშისტურია. მრავალი პროვოკაცია ალბანეთის საზღვრებზე და დემოკრატიული საბერძნეთის წინააღმდეგ, ფაშისტური მასალების არალეგალური გავრცელება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და, რაც მთავარია, ბელგრადის ხროვის ბინძური ცილისწამება საბჭოთა კავშირის მიმართ—ყოველივე ეს არა მარტო ამტკიცებს ფაშიზმში გადაბარგების ფაქტს, არამედ ამეღავნებს იმასაც, თუ რაოდენ დაბლა დაეცა იუგოსლავიის მთავრობა.

დასასრულ გაზეთი რწმენას გამოთქვამს, რომ იუგოსლავიელი ხალხი მოახერხებს თავდან მოიშოროს ტიტოს ხროვა.

გაზეთი „რომანია ლიბერა“ წერს: „ფაშისტი ბანდიტები, მშვიდობისა და დემოკრატიის მოსისხლე მტრები, ალგილ იქნებიან პირისაგან მიწისა სახალხო ბრძოლის გაძლიერებული ტალღით. ტიტოს ბანდიტურ ხროვას არ შეიძლება სხვა ბედი ეწიოს, გარდა ისეთი ბედისა, რომელიც მის წინამორბედებს — ჰიტლერს, მუსოლინისა და მათს კომპანიას ეწია. თავისი დანაშაულისათვის იგი ღირსეულ საზღაურს მიიღებს“.

გაზეთი „ვეიაკა სომდიკალა“ ჩამოთვლის ბელგრადელ ფაშისტთა მთელ რიგ დანაშაულს, რაც მათ უკანასკნელ დროს ჩადიენეს, და წერს: „იუგოსლავიის ახლანდელი ხელმძღვანელები, რომელებმაც უღალატეს თავისი ქვეყნის ინტერესებს, ცდილობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ბელგრადის მთავრობის საგარეო პოლიტიკა საერთოდ არაფრით არ განირჩევა ყოველი იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისაგან, რომელიც დოლარის ბატონობაში იმყოფება“. „ტიტოს ალსასრული, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — ისეთივე იქნება, როგორიც იყო ხოლმე და იქნება ამათი ალსასრული, ვინც ცდილობდა და ცდილობს მართოს ხალხის ნების წინააღმდეგ“.

პოლონეთი

ვარშავა, 2 სექტემბერი. (საკადესი). პრესის მუშურმა სააგენტომ პერიფერიული პრესისათვის განკუთვნილ თავის ბიულეტენში გამოაქვეყნა იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტისადმი მიძღვნილი სტატია.

იუგოსლავიის მთავრობისადმი სსრ კავშირის მთავრობის 11 აგვისტოს ნოტამ, ნათქვამია სტატიაში, მთელ მსოფლიოს დაანახა, როგორ ღალატეს ტიტოელებმა იუგოსლავიის ხალხების ინტერესებს სლოვენიის კარინტიის საკითხში. იუგოსლავიის მთავრობის გამცემლური როლის გამოაშკარავებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იუგოსლავიასა და მთელ მსოფლიოში.

ტიტოს მთავრობამ, რომელიც დაგმობილია როგორც იუგოსლავიის ეროვნულ ინტერესთა მოღალატე, ვერ შეძლო რაიმე არგუმენტი გამოენახა თავის დასაცავად და კვლავ ცილისწამებასა და სიცრუეს მიმართა. ეს სიცრუე კვლავ მხილებულ იქნა სსრ კავშირის 29 აგვისტოს ნოტაში, რომელშაც, იუგოსლავიელ ტროცკისტთა ღალატის მთელი ისტორიის ერთხელ კიდევ გახსენებით და მთელი რიგი ახალი ფაქტების მოყვანით, უფრო სრულად და მკაფიოდ დაახასიათა იუგოსლავიის მთავრობის მორალური და პოლიტიკური სახე.

სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა ნოტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ, უეჭველია, იუგოსლავია სლოვენიის კარინტიას მიიღებდა, იუგოსლავის მთავრობას იუგოსლავიის ეროვნული ინტერესებისათვის რომ არ ეღალატნო.

სტატიაში მოყვანილია აგრეთვე ციტატი საბჭოთა ნოტის იმ პუნქტიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ იუგოსლავიის მთავრობა მიზნად ისახავდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში უთანხმოების ხელოვნურად გაღვივებას. ამას იუგოსლავიის მთავრობა აკეთებდა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის უკიდურესი, ყველაზე აგრესიული იმპერიალისტური წრეების სასარგებლად, რომელთაც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირისადმი მტრული განწყობილების და ომის ისტერიის გაღვივებით.

ტიტოელებმა, ნათქვამია სტატიაში, თავისი იმპერიალისტი ბატონებისაგან გადაიღეს არა მარტო პოლიტიკის პრინციპები, არამედ მოქმედების ფარისეველური მეთოდებიც და მოითხოვენ, რომ საბჭოთა მთავრობა სიმპათიითა და პატივისცემით მოეპყროს მათ. საბჭოთა მთავრობამ გამანადგურებელი პასუხი გასცა ამ უბადიში მოთხოვნაზე.

საბჭოთა საზოგადოებრიობა და საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, იუგოსლავიის მთავრობას ისე უყურებენ, როგორც მკეხარა და ბოროტ დეზერტირებს. იგი სწორედ ამის ღირსია. ასევე უყურებენ იუგოსლავიის ახლანდელ მთავრობას მთელი მსოფლიოს მშრომელნი.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკადესი). იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტა კვლავ იპყრობს ფართო საზოგადოებრიობისა და ჩეხოსლოვაკიის პრესის ყურადღებას.

საბჭოთა მთავრობის ნოტებმა, გაწსაკუთრებით 29 აგვისტოს ნოტამ, წერს გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“, არაჩვეულებრივი ძალითა და დამაჯერებლობით ცხადყვეს მთელი სიმდაბლე და სისაძაგლე ტიტოს ხროვისა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის ბანაკში გადასვლის შემდეგ მიმართავს თავისი ხალხის დათრგუნვის უმკაცრეს საშუალებებსა და მეთოდებს, რათა შეინარჩუნოს ძალაუფლება. საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტა ტიტოს ხროვას საბოლოოდ ჰგლეჯს ნიღაბს, რომლითაც ეს ხროვა ცდილობდა იუგოსლავიის ხალხისათვის დაეძალა თავისი ნამდვილი სახე და განეგრძო თვალთმაქცური თამაში საერთაშორისო რეაქციის ბრძანების შესასრულებლად. საბჭოთა მთავრობის ნოტაში უდავოდ არის დამტკიცებული, რომ ტიტოს ხროვა იმპერიალიზმის ბანაკში გადავიდა და სიცრუისა და ცილისწამების დახმარებით, ყოველად ნათელი ფაქტების ფალსიფიკაციის გზით ცდილობს განაგრძოს ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაშასადამე, მშვიდობისა და პროგრესის საერთაშორისო ბანაკის წინააღმდეგაც.

გაზეთი „სვობოდნე სლოვო“ აღაშენებს საბჭოთა მთავრობის ნოტის კომენტარებს და წერს: „ტიტოს ხროვა პროვოკატორთა საზიზღარ ბანდად გადაიქცა“.

ჩინეთი

ბეიპინი, 2 სექტემბერი. (საკადესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ტიანძინისა და ბეიპინის გაზეთები კომენტარს უკეთებენ იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტას. ბეიპინის გაზეთი „ენმინ ენიბაო“ კომენტარებში, რომელებსაც სათაურად აქვს „რენეგატებს მარცხი მოელით“, წერს, რომ საბჭოთა კავშირის 29 აგვისტოს ნოტა „რენეგატ ტიტოს სიტყვისა და საქმის საუკეთესო ანალიზია“.

კომენტარში ნათქვამია: „ტიტოს ხროვა დიდი ხანია იმპერიალისტებთან ხელიხელ ჩაჯდებული მუშაობს და ეროვნულ ინტერესებს უღალატა. იგი მხოლოდ ცდილობს იმოვოს საბჭოთა კავშირისათვის ცილის დაწამების საბაბი, რათა იმპერიალისტებს ათქოს. ამ ხროვის მთელი ზრახვები ახლა საკმაოდ გამოაშკარავებულია“.

თავისი დაღუპვის წინ, ნათქვამია შემდეგ კომენტარებში, ტიტოს ხროვა უფრო უსირცხვილოდ იყენებს სხვადასხვა საშუალებას იმისათვის, რომ თავის ხალხში გაიღვიძოს შოვინისტური განწყობილება, აიცილოს პასუხისმგებლობა იმ კრიზისისათვის, რომელიც იუგოსლავიაში სწრაფად მწიფდება, და იმპერიალისტური ბლოკის სამსახურში ჩაიყენოს ეროვნული ინტერესები.

კომენტარებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის ნოტა დიდი წაბალისებაა იუგოსლავიელი ხალხისათვის. მის განმათავისუფლებელ ბრძოლას მხარს უჭერენ ის ქვეყნები და ხალხები—მათ შორის ჩინეთიც,—რომელნიც შედიან საერთაშორისო დემოკრატიულ ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ისტორიამ დაამტკიცა, ნათქვამია კომენტარებში, რომ ყველა რენეგატი განწირულია დასასუბავად: „თუმცა პატრიოტი იუგოსლავიელი ხალხი ამჟამად სერიოზული კრიზისის წინაშე დგას, მაგრამ იუგოსლავიელი რენეგატები დიდხანს ვერ იბოგინებენ. ამჟამად იუგოსლავიელი ხალხისათვის ვითარება და განსაკუთრებით საერთაშორისო ვითარება გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ის, რომელშიც ჩინელი ხალხი იმყოფებოდა 1927 წელს, როცა იგი გასცეს ჩან კაი-შეკ და ვან ძინ-ვეიმ. ამიტომ იუგოსლავიელი ხალხის ბრძოლა, მიმართული იმისაკენ, რომ მოიშოროს და შეეცალოს თავისი მმართველები, უეჭველად ძლეგამოსილი იქნება და ნაკლები დროც კი დასჭირდება, ვიდრე ჩინელ ხალხს დასჭირდა“.

ჩინეთის დემოკრატიული ლიგის ორგანო გაზეთი „გუანმინჟიბაო“ კომენტარებში, რომლებსაც სათაურად აქვს „რენეგატების რამდენიმე ტიპი“, წერს, რომ იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის 29 აგვისტოს ნოტამ ასწავლა იუგოსლავიელ ხალხს და მთელ მსოფლიოს გაარჩიონ რენეგატების ტიპები. ხოლო ტიტო ეკუთვნის ყველაზე უსირცხვილო, მდაბალ და საზიზღარ ტიპს.

გაზეთი „ტანძინჟიბაო“ თავის კომენტარებში ტიტოს უწოდებს იმპერიალიზმის მეხუთე კოლონის წარმომადგენელს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ ახალი ნოტა მიიღო ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ნატალისაგან. ნოტა შეიცავს პროტესტს ათენის მთავრობის მხრივ ახალი აგრესიის აქტების წინააღმდეგ. აღნიშნა რა, რომ ალბანეთის მთავრობას არაერთხელ მიუმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პროტესტით ამ დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ, რასაც ათენის მთავრობა ფართო მასშტაბით იყენებს ალბანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, ნატალიმ განაცხადა, რომ, მიუხედავად ამისა, ათენის მთავრობა „დაჟინებით განაგრძობს აგრესიულ აქტებს, რომლებიც მიმართულია ალბანეთის მშვიდობის, უშიშროებისა და დამოუკიდებლობის წინაღმდეგ, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის წინაღმდეგ“.

ნატალიმ აღნიშნა, რომ სამი დღის განმავლობაში, დაწყებული 25 აგვისტოდან, ათენის მთავრობის ჯარებმა და თვითმფრინავებმა აგრესიის 14 აქტი მოაწყეს, მათ შორის დაბომბეს ალბანეთის საზღვრის მცველი რაზმი და სამოქალაქო მოსახლეობა. ნატალიმ კვლავ ენერგიული პროტესტი განაცხადა აგრესიის ამ ახალი აქტების წინააღმდეგ და ტრიუგვე ლის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ასეთი აქტები „წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების აშკარა დარღვევას და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას, ამიტომ ორგორც ამ აქტების შედეგებისათვის, ისე იმისათვის, რაც ამ აქტებს მოჰყვება, სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ ათენის მთავრობას“.

„მშვიდობის დღე“ გერმანიაში

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ყველა ქალაქსა და სოფელში გაიმართა დიდი მიტინგები „მშვიდობის დღის“ მოწყობასთან დაკავშირებით. საქსონია-ანჰალტის მხარის ორი ათასზე მეტ თემსა და დიდ საწარმოში გაიმართა კრებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ორმა მილიონმა მშრომელმა. ზონალური საზღვრის ახლოს მდებარე ქალაქებისა და სოფლების მიტინგებში მონაწილეობა მიიღო მრავალმა წარმომადგენელმა დასავლეთ გერმანიიდან.

როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება „მშვიდობის მიტინგები“ მოეწყო ყველაფერ გერმანიის ყველა მხარეში. ჰამბურგში შედგა დიდი მიტინგი, რომელიც მშვიდობის გერმანულმა საზოგადოებამ მოაწყო. 3-დან 11 სექტემბრამდე მიტინგები გაიმართება დიუსელდორფში, კელნში, რემშაიდში, ბილეფელდში, ჰაგენში, ვუპერტალში, ზოლინგენში, ჰელზენკირხენში, ესენში, ბონსა და ალტენში.

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირმა „მშვიდობის დღესთან“ დაკავშირებით გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „გერმანელ ახალგაზრდობას სურს ხელი შეუშალოს ომს და უზრუნველყოს მშვიდობა“.

ამერიკის შეერთებული შტატების მეგობების მეგობრების უფროსთა გამგზავრება ალასკას

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯონსონმა განაცხადა, რომ შტატების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფი 6 სექტემბერს ალასკას გაემგზავრება სამხედრო ნაგებობათა დასათვალიერებლად.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ მგზავრობის მონაწილეთა შორის არიან შტატების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე გენერალი ბრედლი, ავიაციის გენერალი ვანდენბერგი, ამერიკის არმიის შტაბის უფროსი გენერალი კოლინსი და სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბის უფროსის მოადგილე ვიცე-ადმირალი სტრაბლი.

ბუდაპეშტში გაიხსნა ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი

ბუდაპეშტი, 2 სექტემბერი. (საკადესი). დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი, რომლის მუშაობაშიც, წინასწარი ცნობებით, მონაწილეობას მიიღებს 60-ზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი 600-ზე მეტი დელეგატი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობამ კონგრესზე გამოგზავნა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც დაეალა უფრო მტკიცედ, უფრო აქტიურად აწარმოონ ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ყველა ხალხის უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა კონგრესზე წარმოდგენილია დელეგაციით, რომელსაც ამხ. ნ. მიხაილოვი ხელმძღვანელობს.

კონგრესი გაიხსნა ნაშუადღევს უნგრეთის სახელმწიფო კრების შენობაში. გახსნას სტუმრებად დაესწრნენ უნგრეთის მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იშტვან დობის მეთაურობით.

კონგრესის გახსნის წინ შესავალი სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ გი დე ბუსონმა.

ახალგაზრდობის პირველი მსოფლიო კონგრესის შემდეგ გასული ოთხი წლის განმავლობაში, ამბობს იგი, ჩვენ იმის იმედით ვცოცხლობდით, რომ ბოლოს და ბოლოს დამყარდება მშვიდობა და მთელი კაცობრიობა დაადგება ბედნიერი მომავლის გზას. მაგრამ ომის გამჩაღებლები ცდილობენ უბედურებათა ახალ უფსკრულში გადაჩეხონ კაცობრიობა. ამიტომ მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები ჩაებნენ ბრძოლაში ამ ბნელი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ახალ ხოროტმოქმედებათა ჩადენას აპირებენ.

განვლილ პერიოდში მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძალები მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ და გაიზარდნენ. და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ბრძოლა ამაო არ იქნება. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ გაიმარჯვებს მშვიდობის ფრონტი, რომელსაც საბჭოთა კავშირი და დიდი სტალინი მეთაურობენ.

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის ხსენება მთელი დარბაზის ოვაციას იწვევს. დელეგატები ფეხზე დგებიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთსულოვანი ტაშით გამოხატავენ საბჭოთა კავშირისა და დიდი სტალინისადმი სიყვარულისა და მტკიცე ერთგულების გრძნობას.

გი დე ბუსონი კონგრესს გახსნილად აცხადებს.

შემდეგ კონგრესის მონაწილეებს უნგრეთის მთავრობის სახელით მიესალმა მინისტრი მიხალ ფარკაში.

დე ან კონგრესმა, ამბობს იგი, განუყრელი ტახადოს ერთიანობა მთელი დედამიწის ახალგაზრდობისა, რომელიც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის იბრძვის. ეს ბრძოლა დაკავშირებულია ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის საერთო საქმესთან და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ ბრძოლას სათავეში უდგას მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯი — სოციალისტური სამშობლო, კავშირი და ხალხთა გენიალური ბელადი, უდიდესი მებრძოლი თავისუფლებისათვის, ჩვენი საყვარელი სტალინი.

კონგრესის დელეგატები ფეხზე დგებიან, რამდენიმე წუთს ქუხს ტაში და მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გასმული მისასალმებელი შეძახილები, რომლებთაც ახალგაზრდობა გამოხატავს თავის გრძნობებს დიდი სტალინისადმი.

შემდეგ უნგრეთის ახალგაზრდობის სახელით კონგრესს მიესალმა უნგრეთის ახალგაზრდობის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე დიერ ნოვი.

ამის შემდეგ დარბაზში შემოდის დელეგაცია უნგრელი პიონერებისა, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ და ყვავილების თაიგულები მიართვეს კონგრესის მონაწილეებს.

გი დე ბუსონი აქვეყნებს კონგრესის დღის წესრიგს, რომლის თანახმად კონგრესი მოიგებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენებას, სარეფერენტი კომისიის მოხსენებას და აირჩევს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს.

კონგრესის მონაწილენი ერთხმად ირჩევენ კონგრესის პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელობა და ახალგაზრდობის ყველა ეროვნული დელეგაციის წარმომადგენლები, სამდივნო და სხვა დასხვა კომისიები.

კონგრესის დელეგატები კვლავ ფეხზე დგებიან, რამდენიმე წუთს ქუხს ტაში და მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გასმული მისასალმებელი შეძახილები, რომლებთაც ახალგაზრდობა გამოხატავს თავის გრძნობებს დიდი სტალინისადმი.

მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ნეონაცისტების ამ პროტესტებმა უკვე დაიგვიანა, რადგან კონონები, რომლებიც კრძალავენ ნაცისტურ პროპაგანდას, პრაქტიკულად ძალაში აღარ არის, მას შემდეგ, რაც ამერიკულ ზონაში კუმშა კანონი პრესაზე ლიცენზიათა შესახებ. ამ კანონის გაუქმებამ გამოიწვია ფაშისტური პრესის გამოცემათა რიცხვის მნიშვნელოვნად გადიდება და ნაცისტური გაზეთების ყოფილ რედაქტორების თავიანთ წინანდელ პოსტებზე დაბრუნება.

დემონსტრანტთა დახვრეტა იოჰანესბურგში

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკადესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით ოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის კავშირი) პოლიციამ ცეცხლი გახსნა მკვდარ მოსახლეთა — აფრიკელთა მშვიდობიან დემონსტრაციას. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. დემონსტრანტებმა ხელისუფალთაგან მოითხოვეს გაეუქმებინათ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობისათვის ფასების გადიდების შესახებ, ამასთან, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება ვრცელდებოდა მხოლოდ ადგილობრივ მეგზურებზე—აფრიკელებზე. ევროპელებზე საბჭოს გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა.

მოკლე ცნობები

ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტრომ განაცხადა, რომ 26 აგვისტოს ფლორიდაში გრიგალმა მოსპო 15 მილიონამდე ძირი ხეხილი და 32 მილიონი დოლარი ზარალი გამოიწვია.

* * *

სახელმწიფო სასამართლომ პრაღაში განიხილა იმ შეთქმულთა ჯგუფის საქმე, რომლებიც დასავლეთის ერთი დიდი სახელმწიფოს და ჩეხოსლოვაკ პოლიტიკურ ემიგრანტთა ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით ამზადებდნენ გადატრიალებას ჩეხოსლოვაკიაში. სასამართლომ 6 ბრალდებულს სიკვდილი მიუსაჯა, 10 კაცს—სამუდამო პატიმრობა და დანარჩენთ—საკატორღო სამუშაო 1-დან 25 წლამდე. 10 კაცი განთავისუფლებულია. (საკადესი).

ფაშიზმის რესტავრაციის პოლიტიკა დასავლეთ გერმანიაში

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ტელეპრესის საგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, ეგრეთ წოდებული „გერმანული კავშირის“ ხელმძღვანელობამ ჰესენში (ამერიკული ზონა) გამოაქვეყნა განცხადება იმის მოთხოვნით, რომ „დაუყოვნებლივ გაუქმდეს ყველა ის კანონი, რომლითაც შეზღუდულია ან აკრძალულია ნაციონალ-სოციალისტური და მილიტარისტული იდეების პროპაგანდა“. ამერიკელ ხელისუფალთ ამ განცხადების გამოქვეყნებისათვის არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნიათ. დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტთა განცხადებით, ეს კანონები თითქოს „არასოდეს არ მოიწონებია გერმანელ ხალხს და ანტიდემოკრატიულია“.

მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ნეონაცისტების ამ პროტესტებმა უკვე დაიგვიანა, რადგან კანონები, რომლებიც კრძალავენ ნაცისტურ პროპაგანდას, პრაქტიკულად ძალაში აღარ არის, მას შემდეგ, რაც ამერიკულ ზონაში კუმშა კანონი პრესაზე ლიცენზიათა შესახებ. ამ კანონის გაუქმებამ გამოიწვია ფაშისტური პრესის გამოცემათა რიცხვის მნიშვნელოვნად გადიდება და ნაცისტური გაზეთების ყოფილ რედაქტორების თავიანთ წინანდელ პოსტებზე დაბრუნება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

4 სექტემბერს კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის რუსთაველის პროსპ. 7 ტელ. 3-09-50	„კონსტანტინე ზასლონოვი“ დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს.
„ოქტომბერი“ პლეხანოვის პროსპ. 135 ტელ. 3-39-84	„შეხვედრა ჯუნგლებში“ დასაწყ. 3-45, 5-45, 7-45, 9-45
„ამირანი“ პლეხანოვის პროსპ. 125 ტელ. 3-48-61	(ზამთრის) „კონსტანტინე ზასლონოვი“ დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8, 10 ს. (საზაფხულო) „მიშკა არისტოკრატი“ დასაწყისი 8-30, 10-30
„თბილისი“ ჯორჯიკაშვილის ქ. № 2 ტელ. 3-57-88	„შეხვედრა ჯუნგლებში“ დას